საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 1 მარტი. 2019 წ. №43 (8709) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

საბანკო სკანდალი

„ჯიბისა“ და პროკურატურის ფართიფური

„თიბისი ბანკის“ საქმე: პროკურატურა გამოძიების დეტალზებზე საუბრობს

თიბისი ბანკი TBC BANK

3

რა წერილი მიიღეს ლონდონიდან დეკუტატებმა, და რას მაღლავს ეროვნული ბანკი?!

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

„შეუძლია თუ არა ქართულ ღვინოს, გადაიბიროს მსოფლიო ღვინის მომხმარებლები?“

Many Georgian winemakers such as Koka Archvadze still make their wine in traditional clay pots called qvevri that are buried underground

„შეუძლია თუ არა ქართულ ღვინოს, გადაიბიროს მსოფლიო ღვინის მომხმარებლები“, — სტატიას ამ სათაურით მსოფლიოში ცნობილი გამოცემა **ბი-ბი-სი** აქვეყნებს.

სტატიაში საუბარია, რომ საქართველო მეღვინეობის სამშობლოა, სადაც ღვინის წარმოება 8 ათასი წლის წინ დაიწყეს და სადაც უნიკალური ღვინოები იწარმოება. ავტორი ეწვია ქართული ღვინის მწარმოებელ რამდენიმე კომპანიას, სადაც 2-ათასლიტრიანი ქვევრებიდან ღვინოც დააგემოვნა. **„საუკუნეების მანძილზე მეღვინეობა ქართული ეკონომიკის უმთავრესი შემადგენელი იყო, ხოლო ღვინის ექსპორტის დიდი ნაწილი რუსეთში მიემართებოდა“,** — აღნიშნულია სტატიაში. ავტორი მიუთითებს, რომ 2006 წლის რუსული ემბარგოს შემდეგ, საქართველომ ახალი პარტნიორების ძებნა დაიწყო და ამჟამად ქართული ღვინის ექსპორტი მსოფლიოს 55 ქვეყანაში ხორციელდება. **„2013 წელს რუსეთში ექსპორტის განახლების შემდეგ, რუსეთის წილი მთლიან ექსპორტში 62%-მდე შემცირდა“,** — ნათქვამია ბი-ბი-სის სტატიაში.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის ირაკლი ჩოლობარგიას განცხადებით, სააგენტოს ძირითადი აქცენტები მიმართულია ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ბაზრებისკენ. **„ჩვენ არ ვართ დიდი სახელმწიფო, ჩვენი წარმოების მაქსიმალური მოცულობა წლიურად 300 მილიონ ბოთლს შეადგენს, რაც ავსტრალიის ერთი დიდი ღვინის საწარმოს პროდუქციის ტოლია. ჩვენ კონკურენციას ვერ გავუწევთ საფრანგეთს, ესპანეთს, ჩილეს და სამხრეთ აფრიკას (სიდიდით), თუმცა ის, რისი შეთავაზებაც ჩვენ შეგვიძლია, არის უნიკალურობა, ჩვენი ყურძნის ჯიშები და ქვევრის ღვინო — ჩვენი ისტორიაა. ახლა ჩვენი სტრატეგიული ძალისხმევა მიმართულია დასავლეთისა და აზიისკენ და ზოგადად, საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციისკენ“,** — აღნიშნავს ირაკლი ჩოლობარგია. სტატიაში ასევე მოყვანილია ამერიკელი ღვინის მაგისტრის ლიზა გრანიკის შეფასებები, რომელიც აცხადებს, რომ დასავლეთში სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს სურს, დააგემოვნოს და გაიცნოს უძველესი და გამორჩეული ქართული ღვინოები.

რატომ დუმს ქართული მწერლობა?!

9

ციკლიდან „დროის იერუსალიმები“

კავკასიური ილიადას გზა-ბილიკებზე

6

რუსეთი — ამერიკელებისთვის ნომერ პირველი საფრთხე!

ამერიკელების უმეტესობა რუსეთს შეერთებული შტატებისთვის მთავარ მტრად მიიჩნევს. გამოკითხვა Gallup-მა ჩაატარა. კვლევის თანახმად, რუსეთს მთავარ საფრთხედ გამოკითხულთა 32 პროცენტი მიიჩნევს, ჩინეთს — 21 პროცენტი, ჩრდილოეთ კორეას კი — 14 პროცენტი. ამასთან, 2018 წელს რუსეთი მთავარ მტრად ამერიკელების 19-მა პროცენტმა დაასახელა, ჩრდილოეთ კორეას კი ხმა 51-მა პროცენტმა მისცა.

ამერიკელების 52% მიიჩნევს, რომ რუსეთის სამხედრო შეიარაღება შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხეს წარმოადგენს. როგორც კვლევის ავტორები მიუთითებენ, რუსეთის მიმართ ამერიკელების ნეგატიურმა განწყობამ მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია. კვლევა 1-10 თებერვალს ჩატარდა.

ნუ ვირჩევთ და ნუ ვემსახურებით ულირსებს!

პოზიცია ლიეჭის ე.წ. „ქართველთა მსოფლიო კრების“ შემდეგ და „რომის საქართველოს მომავლის ფორუმის“ წინ

დაფიძრების, გაანალიზებისა და დასკვნებისთვის წარმოგიდგენთ ჯერ კიდევ 2007-2009 წლებში მეცნიერთა მონაწილეობით შექმნილ ორ დოკუმენტს: „ღირსების ულტიმატუმი“ და „ემიგრანტთა განწყობა-გადაძახილი მომავლის საქართველოსთვის“ პროგრამულ პუნქტებს.

პირდაპირ და მიუკიბ-მოუკიბავად ვამბობ: **ღირსება არ აქვს** ხელისუფლებას — ყოფილს თუ დღევანდელს, რომელიც **„ღირსების ულტიმატუმი“-ს ელემენტარულ მოთხოვნებს არ ასრულებს... ღირსება არ აქვს პოლიტიკოსს, რომელიც ემიგრანტებს, გაჭირვებულ ადამიანებს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს. არც იმას, ვინც ასეთების ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის თუ ხელისუფლებაში შენარჩუნებისთვის იბრძვის.**

ორთავე დოკუმენტი 2009 წელს გაეგზავნა პრეზიდენტ **საკაშვილს** ასეთი წამძღვარებით:

„ხელისუფლების უპირველესი კონსტიტუციური მოვალეობაა, უზრუნველყოს ადამიანისათვის ბუნებით ბოძებული სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლების დაცვა, შეუქმნას მოქალაქეებს ადამიანური არსებობის პირობები. ხელისუფლება, რომელიც ამას ვერ (ან არ) აკეთებს, საკუთარ თავს აყენებს კონსტიტუციის გარეთ“.

მაშინაც ვწერდი და დღესაც ვიმეორებ, რომ უზნეობაა, იყო ქვეყნის პირველი პირი და მოსახლეობას ვერ უკმაყოფილებდე „ელემენტარულ მოთხოვნებს“, როგორც ეს **მიხეილ სააკაშვილმა** უწოდა **„ღირსების ულტიმატუმში“** ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს.

გაპრემიერებისთანავე ეს დოკუმენტები დაეგზავნათ ბატონებს:

- **ბიძინა ივანიშვილს**
- **ირაკლი ღარიბაშვილს**
- **გიორგი კვირიკაშვილს**

ამ დოკუმენტებს, პრაქტიკულად ყოველ წელს ვაქვეყნებდით პრესაში.

შედეგი ნულის ტოლია!

ვის სჭირდება ხელისუფლება, რომელიც ხალხის ელემენტარულ მოთხოვნებს არ თუ ვერ ასრულებს და რატომ ვითმენთ ხელისუფლებას, რომელიც საკუთარ თავს აყენებს კონსტიტუციის გარეთ და კონსტიტუციაზე მაღლა?

იხ. 4 გვ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გერმანიის ელჩს ესაუბრა

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე საქართველოში გერმანიის ელჩს ჰუბერტ ქნირშს შეხვდა. შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის მიმართულებები განიხილეს.

პრემიერ-მინისტრი გერმანელ დიპლომატს ქვეყანაში მიმდინარე წარმატებულ რეფორმებზე ესაუბრა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო განათლების რეფორმას და აღნიშნულ სფეროში გერმანულ მხარესთან თანამშრომლობას. ხაზი გაესვა პროფესიული განათლების კუთხით გამოცდილების გაზიარებისა და გერმანულ მოდელთან მაქსიმალური დაახლოების საჭიროებას. როგორც პრემიერ-მინისტრმა შეხვედრაზე აღნიშნა, განათლების რეფორმა და ადამიანური კაპიტალის განვითარება მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მთავრობის მეთაურის განცხადებით, განათლებისა და ეკონომიკის სამინისტროების ერთობლივი მუშაობის შედეგად იდენტიფიცირებულია პროფესიები, რომლებშიც კვალიფიციური კადრების დეფიციტია და შესაბამისი სასწავლო პროგრამების სწორად შემუშავებასა და დანერგვაში გერმანულ მხარესთან თანამშრომლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

გიორგი გახარია ნატოს საზღვაო ძალების სარდალს სერ კლაივ ჯონსტონს შეხვდა

საქართველოს ვიცე-პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია ნატოს საზღვაო ძალების (MARCOM) სარდალს, ვიცე-ადმირალ სერ კლაივ ჯონსტონს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციასა და ნატოს საზღვაო ძალებს შორის არსებულ პრაქტიკულ თანამშრომლობასა და სანაპირო დაცვის გაძლიერებაზე ისაუბრეს. გიორგი გახარიამ ხაზი გაუსვა ბრიუსელის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების მნიშვნელობას საქართველოსთვის. აღნიშნული გადაწყვეტილება ხაზს უსვამს საქართველოს სანაპირო დაცვასთან თანამშრომლობის გაძლიერების საკითხს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ნატოს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაცია „Sea Guardian"-ში სანაპირო დაცვის ქვედანაყოფების (საბორდაჟო ჯგუფების) ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და სანაპირო დაცვის დეპარტამენტის აბორდაჟის ჯგუფების შეფასებისა და სერტიფიცირების პროცესის წარმატებით დასრულების სურვილი გამოთქვა. აღსანიშნავია, რომ სერტიფიცირების პროცესის დასრულების შემდეგ, საქართველოს სანაპირო დაცვას ეყოლება ნატოს სტანდარტებით მომზადებული, აღჭურვილი და სერტიფიცირებული საბორდაჟო დანაყოფები, რომელთაც ნატოს რეაგირების ძალების (NRF) სტატუსი მიენიჭებათ.

გიორგი გახარიამ აღნიშნა, რომ ნატოს მუდმივმოქმედი საზღვაო შენაერთების ვიზიტების ინტენსიურობის გაზრდა საქართველოსთვის ძლიერი პოლიტიკური გზავნილია. მან ხაზი გაუსვა ნატოს მრავალეროვნულ სწავლებებში საქართველოს სანაპირო დაცვის ჩართულობისა და ნატოს საზღვაო ძალებთან ერთობლივი სწავლებების ჩატარების მნიშვნელობას.

კახა კალაძის გუნდისთვის მთავარი პრიორიტეტი ეკოლოგიურად სუფთა ქალაქია!

დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ საქართველოს პარლამენტს მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ინიციატივის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. საუბარია კონცეფციაზე, რომელიც ითვალისწინებს ამტვერებადი მასალით ჰაერის დაბინძურების კონტროლის მექანიზმებს, რაც მაქსიმალურად შეზღუდავს სამშენებლო, თუ სარეალიზაციო ობიექტებიდან, ასევე ტრანსპორტირების პროცესში სამშენებლო მასალის ჰაერში გაფრქვევას.

როგორც კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, საკანონმდებლო ცვლილებები დედაქალაქში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებას ემსახურება.

„არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა მნიშვნელოვანი საკითხია და საზოგადოებაშიც აქტიურად განიხილება. ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია, რომ ჩვენი გუნდისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი მდგომარეობის გამოსწორებაა. ამ მიმართულებით საკმაოდ კომპლექსურ სამუშაოებს ახორციელებს როგორც მუნიციპალიტეტი, ასევე გამგეობები. თვალშისაცემია გამწვანება და ის პროექტები, რომლებიც უკვე დაწყებული გვაქვს, თუმცა ეს საკმარისი არ არის და სხვა მიმართულებებსაც მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს. კანონპროექტებს, რომელიც პარლამენტში გადავაგზავნეთ, დიდი მხარდაჭერა მოჰყვა. ამისთვის მადლობას ვუხდი პარლამენტს და განსაკუთრებით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს. აღნიშნული კანონპროექტების მიხედვით, მათ შორის, სამშენებლო მასალების გადატანა-მოხმარების შესახებ, კანონში მთელი რიგი ცვლილებები შეგვაქვს", — აღნიშნა თბილისის მერმა.

დაზარალებულ 20 ოჯახს საცხოვრებელი ბინები გადაეცემა

დედაქალაქის მერია საცხოვრებელ ფართებს კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ დამატებით 20 ოჯახს გადასცემს, — ამის შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

„თბილისის მერიამ კოოპერატიული ბინათმშენებლობის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დაკმაყოფილების მიზნით გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში კიდევ ერთი გამარჯვებული კომპანია გამოავლინა. იცით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროექტი ჩვენთვის. 3000-ზე მეტი ოჯახია დაზარალებული. ჩვენ დავდეთ პირობა, რომ ამ პრობლემას, რომელიც წლების განმავლობაში არსებობდა, მოვაგვარებდით. ეს პროცესი უკვე დაწყებულია. დაახლოებით, 183 ოჯახი ფართებით უკვე დაკმაყოფილებულია. აქედან 60 ოჯახს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართები უკვე გადაეცა. დაახლოებით, 123 ფართი კი მშენებლობის პროცესშია", — განაცხადა კახა კალაძემ. მისივე თქმით, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ სამ ოჯახს უკვე დასრულებული ბინები გადაეცემა.

თბილისის გენგეგმის დოკუმენტზე მუშაობა დასრულდა...

დედაქალაქის მერიამ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მუშაობა დაასრულა და დასამტკიცებლად საკრებულოს გადაუგზავნის.

როგორც თბილისის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, დოკუმენტში მთლიანად იქნა გათვალისწინებული ყველა ის შენიშვნა, რაც საკრებულოს ჰქონდა და ხარვეზები გამოსწორებულია.

თბილისის მერის თქმით, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დედაქალაქის სწორი და გრძელვადიანი განვითარება მოხდება და ქაოტური მშენებლობები შეწყდება.

გენგეგმის დოკუმენტის გარდა, ქალაქის სწორ განვითარებას ის ისტორიული გადაწყვეტილებაც წაადგება, რომელიც K2 კოეფიციენტის გაუქმებას უკავშირდება.

თბილისის მერია სოციალურად დაუცველ სტუდენტებს კვლავ დაეხმარება

თბილისის მერია სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის დაფინანსებისთვის განაცხადების მიღებას იწყებს. ამის შესახებ გუშინ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მთავრობის სხდომაზე ისაუბრა.

მისი თქმით, „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობის" ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი სტუდენტები, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000 ან ნაკლებია და სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურზე.

„დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფო სასწავლო გრანტის ფარგლებში, რაც წლიურად 2250 ლარია, ხოლო სემესტრული — 1125 ლარი. მისი ოდენობა დამოკიდებული იქნება აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებელზე და ქულების მიხედვით სტუდენტი მიიღებს 50, 70 ან 100-პროცენტიან დაფინანსებას", — განაცხადა კახა კალაძემ.

იმ შემთხვევაში, თუ წინა სემესტრში მიღებული აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებელი იქნება 51-70 ქულა, სტუდენტი მიიღებს სწავლის საფასურის 50 პროცენტს. 71-90 ქულის შემთხვევაში სწავლის საფასურის 70 პროცენტს, ხოლო თუ სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში აქვს 40 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულა, 100-პროცენტიან დაფინანსებას. 91-100 ქულის მოპოვების შემთხვევაში სტუდენტს სწავლის საფასური 100 პროცენტით დაუფინანსდება.

თუ სტუდენტს მოპოვებული აქვს 30%, 50% ან 70% სახელმწიფო სასწავლო გრანტი, მას სწავლის საფასური შეევსება 100 პროცენტამდე. დაფინანსების მისაღებად სოციალურად დაუცველმა სტუდენტმა თბილისის მერიაში უნდა წარადგინოს პირადობის მოწმობის ასლი; ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზიდან; ცნობა უნივერსიტეტიდან წლიური გადასახადის მითითებით; უნივერსიტეტის საბანკო რეკვიზიტები და ანგარიშფაქტურა; უნივერსიტეტის მიერ გაცემული აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი; რეკომენდაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან და სამოტივაციო წერილი.

თიბისი ბანკი
TBC BANK

„ჯიბისისა“ და პროკურატურის ფართიფურთი

„თიბისი ბანკის“ საქმე: პროკურატურა გამოძიების დეტალზებზე საუბრობს

როგორც იცით, „თიბისი ბანკის“ საქმე – გამოძიების დეტალებზე მთავარ პროკურატურაში ბრიფინგი გაიმართა:

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე გვსურს, საზოგადოებას ვაცნობოთ ამ ეტაპისთვის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე გამოძიების მიერ დადგენილი გარემოებები:

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საქმეზე საქართველოს პროკურატურამ გამოძიება დაიწყო 2018 წლის 2 აგვისტოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194 მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ 2018 წლის 01 აგვისტოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოწოდებული წერილობითი ინფორმაცია.

გამოძიების ამ ეტაპზე საქმეში არსებული მტკიცებულებებით იკვეთება შემდეგი სქემა:

2008 წლის აპრილ-მაისში – „თიბისი ბანკმა“ მამუკა ხაზარაძესთან დაახლოებული ბიზნესმენის კომპანიებზე – „სამგორი M“-სა და „სამგორი თრეიდზე“ სესხის სახით გასცა 17 მილიონი აშშ დოლარი.

იმავე დღეს, აღნიშნული 17 მილიონი აშშ დოლარი უკლებლივ ჩაირიცხა მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის პირად ანგარიშებზე. მაშინ, როდესაც კომპანიებს „თიბისი ბანკიდან“ აღნიშნული სესხი აღებული ჰქონდათ საბრუნავი საშუალებების შევსების მიზნობრიობით და არა ხაზარაძე-ჯაფარიძისთვის სესხის სახით გადასაცემად. ანუ საკუთარი ბანკიდან გაცემული 17 მილიონი აშშ დოლარი იმავე დღეს გადაირიცხა ხაზარაძე-ჯაფარიძის პირად ანგარიშებზე.

ამის შემდგომ მოვლენები ვითარდება შემდეგნაირად:

2008 წლის ოქტომბერ-ნოემბერში – მამუკა ხაზარაძესთან დაახლოებული ბიზნესმენის კომპანიებს, ისე რომ სესხის დაფარვაც კი არ იყო დაწყებული, სესხის გადახდის ვადა, სრულიად უსაფუძვლოდ, გაეზარდათ ერთი წლით.

თუმცა დაახლოებით ერთ თვეში, 2008 წლის 31 დეკემბერს, სესხის გადახდის ვალდებულების დადგომამდე, „თიბისი ბანკმა“:

1. აღნიშნულ სესხებს სრულიად უსაფუძვლოდ მიანიჭა უიმედო კლასიფიკაცია;

2. საბანკო რეგულაციებით დადგენილ ვადაზე ადრე, დაუსაბუთებლად ჩამოწერა ანუ გარე საბალანსო ანგარიშზე გადაიტანა ისე, რომ არ მომხდარა სესხის თანხის გადახდა;

3. არ მოახდინა თავმდები პირებისთვის თანხის ანაზღაურების მოთხოვნა;

4. არ მოახდინა ანგარიშზე არსებული თანხის უაქცეპტო წესით ჩამოჭრა ან სესხის უზრუნველსაყოფად ჩადებული ქონებების ჩამორთმევა.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ აღნიშნულის პარალელურად, მიუხედავად იმისა, რომ ბანკის მიერ შპს „სამგორი თრეიდსა“ და სამგორი M“-ზე გაცემულ სესხებს მიენიჭა უიმედო კლასიფიკაცია, „თიბისი ბანკი“ განაგრძობდა მამუკა ხაზარაძესთან დაახლოებული ბიზნესმენის ხსენებული კომპანიების დაკრედიტებას და მათზე სხვა საკრედიტო ხელშეკრულებების საფუძველზე სესხების გაცემას.

მეტიც, 2012 წელს, „თიბისი ბანკმა“ საერთოდ გაათავისუფლა აღნიშნული კომპანიები ბანკის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულებისგან, რაც განხორციელდა შემდეგნაირად:

„თიბისი ბანკმა“ ხაზარაძესთან დაახლოებული ბიზნესმენის კომპანიები, ყოველგვარი სასესხო უზრუნველყოფის გარეშე, ჩაანაცვლა ერთი თვით ადრე ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიით, რომელსაც საქართველოში არანაირი ფინანსური აქტივი არ გააჩნდა.

ოფშორში რეგისტრირებულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც აღნიშნულმა კომპანიამ, ნაცვლად „სამგორი M“-ისა და „სამგორი თრეიდისა“, აიღო „თიბისი ბანკისთვის“ 17 მილიონის ოდენობის სესხის დაბრუნების ვალდებულება და თავის მხრივ წარმოეშვა ხაზარაძე-ჯაფარიძისგან თანხის მოთხოვნის უფლება.

ამის პარალელურად „თიბისი ბანკმა“, გარკვეული პერიოდულობით, იპოთეკისგან გამოათავისუფლა სესხის უზრუნველსაყოფად ჩადებული უძრავი ქონებები.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ოფშორული კომპანიის მინდობილ პირს წარმოადგენდა საქართველოს მოქალაქე პ.ღ, რომელიც „სამგორი M“-ზე და „სამგორი თრეიდ“-ზე სესხების გაცემისას იყო „თიბისი ბანკის“ საკრედიტო კომიტეტის წევრი, ხოლო მათი ოფშორში რეგისტრირებული კომპანიით ჩანაცვლებისას იკავებდა „თიბისი ბანკის“ ერთ-ერთ მაღალ მენეჯერულ პოზიციას.

ხაზარაძესთან დაახლოებული ბიზნესმენის ხსენებულ კომპანიებსა და ოფშორულ კომპანიას შორის ჩართულ შუამავალ კომპანიასთან მომსახურების გაწევაზე მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 2012 წლის 28 სექტემბერს.

ამავდროულად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ „სამგორი თრეიდს“ და შპს „სამგორი M“-ს სესხები ისე ჩამოეწერა, რომ ამ კომპანიებს სესხის მომსახურებისთვის თანხა საერთოდ არ გადაუხდიათ და აღნიშნული სესხები ბანკს დღემდე არ დაბრუნებია.

გარდა ამისა, დადგენილია, რომ მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს ასევე არ გაუსტუმრებიათ შპს „სამგორი თრეიდისა“ და შპს „სამგორი M“-ის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულება.

გამოძიების ფარგლებში გრძელდება საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, ფაქტთან შემხებლობაში მყოფი პირების გამოკითხვა, ასევე დამატებითი დოკუმენტაციის მოპოვება და შესწავლა.

საქმესთან დაკავშირებული საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს გენერალური პროკურატურა საზოგადოებას პერიოდულად მიაწვდის გამოძიების შესახებ ინფორმაციას“.

რა წერილი მიიღეს ლონდონიდან დეპუტატებმა, და რას მალავს ეროვნული ბანკი?!

წერილი, რომელიც „ნიუპოსტმა“ მოიპოვა, შესაძლოა, ახალი საბანკო სკანდალის საფუძველი გახდეს, თუმცა ამჯერად საქმე „თიბისის“ კი არა, „საქართველოს ბანკს“ ეხება, ანუ ლაპარაკია იმაზე, რომ ბრიტანეთში „საქართველოს ბანკის“ არაკეთილსინდისიერი საქმიანობის, კერძოდ, იმის შესახებ, რომ ის რუსთავის აზოტის ძარხანასთან დაკავშირებით საკუთარ ინტერესებს მალავდა, ამით აქციონერებს ატყუებდა და შესაბამისად, ფარულ არაპროფილურ საქმიანობას ეწეოდა.

სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ, ამ თემაზე ღიად ლაპარაკობდა ისნის მაჟორიტარი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე. ჭიჭინაძემ მოსახლეობის ინტერესები დაიცვა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე მისულ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოადგილეს არჩილ მესტვირიშვილს კატეგორიულად მოსთხოვა, რომ აღნიშნული საქმით დაინტერესებულიყო და ეროვნულ ბანკს „საქართველოს ბანკისთვის“ მოეთხოვა, რომ ამ უკანასკნელს რეზერვები გაეზარდა, რადგან „საქართველოს ბანკის“ წინააღმდეგ ბრიტანეთში წარმოებული სასამართლო დავის გამო, მეანაბრეები არ დაზარალებულიყვნენ, თუმცა, მაშინ ეროვნულმა ბანკმა პრობლემის არსებობა დამალა და არც ლონდონში წარმოებული სასამართლო დავა დაადასტურა.



MICHAEL O'KEEFE ASSOCIATES.
18 SUNNYMEDE.
CHIGWELL ROW.
ESSEX IG7 6ES
UNITED KINGDOM
8 February 2019

IRAKLI KOVZANADZE M.P.
CHAIRMAN.
PARLIAMENT OF GEORGIA BUDGET & FINANCE COMMITTEE.
GEORGIAN PARLIAMENT BUILDING.
8 SHOTA RUSTAVELI AVENUE.
TBILISI.
REPUBLIC OF GEORGIA 0118

CC PAATA KVIJINADZE M.P.
(FIRST DEPUTY BUDGET & FINANCE COMMITTEE)
CC DAVID TCHITCHINADZE M.P.
(MEMBER OF BUDGET & FINANC COMMITTEE)

Dear Mr. Kovzanadze,
I am writing to you in regard to the Bank of Georgi (also known as BGEO Group plc), a London Exchange ("LSE") listed company.
I was tasked with carrying out a relevant KYC proc into Bank of Georgia plc by an EU-based company holds certain Bank of Georgia securities at the LS result I have subsequently discovered evider reports identifying financial non-compliance misconduct by the Bank, including failure of disc information as required by the IFRS and FCA r regulations within the EU and the UK respective a result, certain suspected fraudulent activities.
We are also aware of related proceedings, inqui the UK based governing bodies as well

deposits) holders in the UK and overseas.
I also believe the above identified breaches of the EU and UK regulatory codes and criminal law and will not only bring Bank of Georgia into disrepute but once such knowledge becomes publicized, it will also trigger instability within Georgia herself by:
(a) creating further hesitation within the international investment community towards emerging markets companies' stocks and securities;
(b) to put on hold or suspend relevant investment decisions towards Georgian stocks and securities as a least for a certain period of the foreseeable future.
(c) Given seriousness of the identified reporting by the independent auditors, all Georgian companies' may face additional investors' reputational concerns, specifically in light of such major player's misconduct towards EU based investors.
We herewith are kindly asking you to look into the Rustavi Azoti transaction as of August/September 2016, relevant Bank of Georgia and the Group's lending activities towards SPV companies, including its former/current employees' interactions at the Rustavi Azoti factory starting from August 2016 until current period.
We are available to share our findings with you, to arrange for a relevant meeting in London or Tbilisi at your earliest convenience, i.e. to present our findings of financial non-compliance with relevant UK, IFRS regulations and of fraudulent misconduct. We are herewith seeking your assistance and advice in this matter.
Yours sincerely
Michael O'Keefe,
Michael O'Keefe Associates
+44 (0)7881832418

ამასთან, „საქართველოს ბანკმა“, როგორც ირკვევა, რეზერვის გაზრდაზე უარი თავის დროზე იმიტომ თქვა, რომ ამით მისი აქციები შემცირდებოდა და შესაბამისად, რეზერვის არგაზრდით მოსახლეობა უდიდესი რისკის ქვეშ დააყენა.

„საქართველოს ბანკი“ ამ მდგომარეობამდე მიიყვანა არაპროფილურმა საქმიანობამ და თუ ის ლონდონის სასამართლოში დავას წააგებს, ეს იქნება საკმაოდ მძიმე დარტყმა ჩვენი მოსახლეობისთვის. მიუხედავად ამისა, არ აპირებენ რეზერვის შექმნას. ეროვნული ბანკის ეს შემადგენლობა „საქართველოს ბანკის“ კონკრეტულ ინტერესებს ემსახურება, რადგან მთელი ეს შემადგენლობა „საქართველოს ბანკიდანაა“...

იხ. 5 გვ.

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA



ლიბერთი ბანკი ისევ დააყაჩაღეს!

გუშინ უკვე მეორედ, ლიბერთი ბანკი დააყაჩაღეს. ამჯერად ყაჩაღობა ნაძალადევში, დადიანის ქუჩაზე მოხდა. ადგილზე სამართალდამცველები და ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობენ. შსს-ს ინფორმაციით გამოძიება ყაჩაღობის მუხლით დაიწყო. უცნობია რა ოდენობის თანხაა წაღებული ბანკიდან.

თვითმხილველები ყვებიან, რომ პირმა, რომელმაც ნაძალადევის რაიონში ლიბერთი ბანკი გაძარცვა, ყვითელ სამარშრუტო ტაქსში ჩაჯდა და წავიდა. მათივე ინფორმაციით, სავარაუდოდ, ძარცვაში ერთი პირი მონაწილეობდა. მათივე ინფორმაციით, იარაღის გასროლის ხმა არ გაუგიათ. ლიბერთი ბანკი დაახლოებით 10 საათზე გაძარცვეს.

ნუ ვირჩევთ და ნუ ვემსახურებით ულირსებს!

პოზიცია ლიეჟის ე.წ. „ქართველთა მსოფლიო კრების“ შემდეგ და „რომის საქართველოს მომავლის ფორუმის“ წინ

(პირველი გვერდიდან)

გაბოროტების ტოლფასია, როცა არ შეასრულე ის, რასაც „ელემენტარული“ უწოდე და დღეს იმავეს პროგრამად სთავაზობდე ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის. **გაბოროტების ტოლფასია,** იყო ხელისუფლებაში დღეს და იმავდროულად იყო თვითკმაყოფილი, არ გქონდეს **„ღირსების ულტიმატუმის“** ეს მოთხოვნები შესრულებული. გასაგებია, რომ ასეთ პიროვნებებს ხელს არ აძლევთ ჩემთან ერთად დგომა ხალხის წინ, ცოცხალი დისკუსია ხალხის წინ და პირდაპირ ეთერში. თუნდაც იმის გამო, რომ რეგიონის ხელმძღვანელის რანგშიც კი, როცა **„მოქკავშირი“** და მისი ე.წ. **რეფორმატორული გუნდი** ხელს მიშლიდნენ, ამ მოთხოვნების დიდ ნაწილს მაშინაც კი ვასრულებდი. **როგორც კი შევძელი,** მასწავლებლის ხელფასი ქუთაისში რამდენჯერმე მეტი იყო, ვიდრე მთელ საქართველოში, როცა მასწავლებელი, როგორც მინიმუმ, ერთი ლარით მეტს იღებდა, ვიდრე მე, როგორც ქალაქის მერი და ჩემი ხელფასი კი, რამდენჯერმე მეტი იყო, ვიდრე პრეზიდენტის... **როგორც კი** შევძელი სტუდენტთა სწავლების დაფინანსება, როგორც კი შევძელი, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მინიმუმ 10-ჯერ მეტ ხელფასს იღებდნენ ქუთაისში, ვიდრე თბილისში და სხვაგან, მთელს რესპუბლიკაში და ამის გამო, მთელი მაღალი რანგის პროფესურა ქუთაისისკენ დაიძრა, მაშინვე პარლამენტის ტრიბუნიდან დაიწყო შეტევა, თითქოს მე მასწავლებელთა და სტუდენტთა რევოლუციას ვიწყებდი ქუთაისიდან.

გასაგებია, რომ ასეთ პიროვნებებს ხელს არ აძლევთ ჩემთან ერთად დგომა ხალხის წინ, და ცოცხალი დისკუსია პირდაპირ ეთერში, რადგან მე ვამტკიცებ, რომ იმ ფულით, რომელიც დღეს არის ბიუჯეტში (ეს ძირითადად ქვეყნის მიერ აღებული სესხები და ჩვენი ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი ფულია), მინიმუმ ხუთჯერ მეტი რამის გაკეთება შეიძლება, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ნებისმიერ ქალაქსა და რაიონში. ვამბობ იმას, რომ ელიტური კორუფცია ჭამს ქვეყანას, ვცხოვრობთ სიყალბეში და ქვეყანაში მძლავრობს პოლიტიკური მაფია, რომლის წევრებიც არიან ოლიგარქები, პარტიიდან პარტიაში მომთაბარე პოლიტიკოსები, ხელისუფლების მომღერალი ინტელიგენცია.

კონკრეტული მაგალითების მოტანის გაგრძელება შემიძლია. ვფიქრობ, რაც ვთქვი, საკმარისია. და ვთქვი არა იმიტომ, რომ გაკეთებულით ვიტრაბახო (მაშინაც კი მეტის გაკეთება შეიძლებოდა და მეც შემეძლო!), არამედ ვთქვი იმიტომ, რომ შეუძლებლის შეძლებაა შესაძლებელი, თუ პროფესიონალი და ქვეყნის მოყვარული ხელისუფლება იქნება ქვეყნის სათავეში, ხელისუფლება, რომლის მართვის სტილი იქნება მეცნიერული, დაეყრდნობა მეცნიერებას და მეცნიერთა მიერ შედგენილ პროგრამებს.

ყველაფერი ეს ვთქვი იმიტომ, რომ დავფიქრდეთ: ნუ ვირჩევთ და ნუ ვემსახურებით უღირსებს! დავფიქრდეთ: ის, რაც დღეს ხდება ქვეყანასა და ქვეყნის გარეთ, იქნებ ეს არის ყველაზე დიდი შეთქმულება ქვეყნის წინააღმდეგ!

ქვეყნის გადარჩენა შეუძლიათ მორალურ ადამიანებს, მორალურ პოლიტიკოსებს, პოლიტიკოსებს, რომლებიც მზად არიან თავშეწირვისთვის. **პოლიტიკოსი დღეს არის ის, ვინც სიცოცხლის ფასად არის მზად ქვეყნისა და ხალხისთვის.** მორალური ადამიანების ერთობამ უნდა აჩვენოს მთელ მსოფლიოს, რომ საქართველო ის ქვეყანაა, რომელიც ბელადების, ფულის ძალაუფლების, ოლიგარქების გარეშე შეძლებს უმძიმესი კრიზისიდან გამოსვლას. ეს იქნება ქვეყნის გადარჩენა შიშველი ხელებით. როგორც იტყვიან, „შიშველი ხელი ხელსა, მადლი ღმერთსა,

ამის წამკითხავი ვიდრე იფიქრებს, თემურ შაშიაშვილი ხომ არ აჭარბებსო“. გთხოვთ, ნახოთ რა მოთხოვნები იყო ჩამოყალიბებული **„ღირსების ულტიმატუმში“** (რომელიც წარმოდგენილია თავდაპირველი სახით, ანუ იმ ფორმით, რომელიც გადაეცა პრეზიდენტ სააკაშვილს) და რას ვითხოვდით ემიგრანტებთან დაკავშირებით.

დასკვნა თქვენთვის მომინდვია.

თეიმურაზ შაშიაშვილი

პოლიტიკური პარტია „თეთრების“ ლიდერი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი

„ღირსების ულტიმატუმი“

1. მომავალი წლის პირველი იანვრიდან საარსებო მინიმუმს გაუტოლდეს:

- **პენსია;**
- **მინიმალური ხელფასი;**
- **ლტოლვილთა შემწეობა;**
- **უმუშევართა შემწეობა;**
- **სტიპენდია.**

ხოლო საარსებო მინიმუმი განისაზღვროს დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ მსოფლიოში მიღებული პრინციპების საფუძველზე;

2. დადგინდეს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სახელმწიფო დაწესებულებებში გასაცემი მაქსიმალური ხელფასი არ შეიძლება იყოს მინიმალურზე (მათ შორის პენსიაზე) 20-ჯერ მეტი;

3. მოხდეს პოლიტპატიმრების უპირობო გათავისუფლება;

4. მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის აუცილებელ მოთხოვნებად განისაზღვროს:

- **განათლების და ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტული დაფინანსება.**
- **სტუდენტის მიერ სწავლისათვის გადასახდელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს სწავლის ღირებულების 10%-ს.**
- **უზრუნველყოფილი იქნას საბავშვო ბაღების სრული სახელმწიფო დაფინანსება კონტინგენტის ლიმიტირების გარეშე**
- **მოსახლეობის სრული და საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის უზრუნველყოფა.**
- **სოფლის მეურნეობისთვის საქართველოს ბიუჯეტის მინიმუმ 10%- ის გამოყოფა.**
- **მცირე ბიზნესისა და დასაქმების პროგრამებისათვის საქართველოს ბიუჯეტის 10%-ის გამოყოფა.**

5. აღიარებული იქნას საკუთრების ხელშეუხებლობა. მოხდეს წართმეული ქონების უპირობოდ დაბრუნება.

6. საზოგადოებრივი ტელევიზია დაუბრუნდეს საზოგადოებას.

7. ახალი კონსტიტუციის მიღებამდე შეჩერდეს ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებზე ლიცენზიების გაცემა და სტრატეგიული ობიექტების პრივატიზაცია .

8. ყოველთვიურად გამოქვეყნდეს ყველა დონის (სახელმწიფო, მხარე, ქალაქი, რაიონი) ბიუჯეტში შესული თანხების მოცულობა, წყაროები და სრული ინფორმაცია მათი ხარჯვის შესახებ.

9. ექსპერტთა მონაწილეობით (პარიტეტულ პრინციპებზე) შესწავლილი იქნას : პირველადი მოხმარების საკვებ პროდუქტებზე, სამედიცინო მომსახურებაზე, მედიკამენტებზე, ტრანსპორტზე, სატელეფონო მომსახურებაზე, საწვავზე, გაზზე, ელექტროენერგიაზე დაწესებული ფასების საფუძვლიანობა (ზედაპირული ანალიზითაც ჩანს, რომ ზრდა ხელოვნურია და რეალური კონკურენციისა და რეალურად მოქმედი ანტიმონოპოლური სამსახურის პირობებში შეიძლება ფასების განახევრება).

10. გაანალიზდეს კომერციულ ბანკებსა და მოსახლეობას შორის წარმოქმნილი პრობლემები და მოხდეს მათი დარეგულირება სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

11. გაანალიზდეს საბანკო სესხების არსებული საკრედიტო განაკვეთები, ზრდის რეალური ფაქტორები. სახელმწიფომ ევროპული გამოცდილებით უზრუნველყოს იაფი კრედიტის პრობლემის გადაწყვეტა.

12. გამოქვეყნდეს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას სიკვდილის გამოძიების შედეგები.

13. შეიქმნას (პარიტეტულ პრინციპებზე) გახმაურებულ „ქუჩის მკვლელობათა“ საქმეების შემსწავლელი საზოგადოებრივი კომისია.

14. თანამდებობიდან იქნას გადაყენებული და მიცემული პასუხისგებაში ყველა ის თანამდებობის პირი, რომელიც დაკავშირებულია ქუჩის მკვლელობებთან.

15. თანამდებობიდან იქნას გადაყენებული ყველა ის პირი, რომელიც მონაწილეობდა ეკლესიების ნგრევასა და მრევლის დარბევაში (მიუხედავად მათი კონფესიური კუთვნილებისა).

16. გაიხსნას და საჯარო გახდეს 2003 წლის შემდგომ დაფუძნებული სახელისუფლებო ფონდები, მათ შორის: პრეზიდენტისა, პრემიერ-მინისტრისა, მინისტრებისა, გუბერნატორებისა, მერებისა და გამგებლებისა.

17. ახალი კონსტიტუციის მიღებამდე შეჩერებული იქნას 2004 წლის დასაწყისში მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების მოქმედება.

18. გამოქვეყნდეს სუკ-ის აგენტების სიები.

19. საქართველოს ყველა ქალაქისა და რაიონის მიხედვით გამოქვეყნდეს სიები იმ ობიექტებისა, რომელთა კეთილმოწყობისათვის დაიხარჯა 50 000 ლარზე მეტი (უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში).

20. გამოქვეყნდეს, როგორც მთელი ქვეყნის, ასევე ქალაქებისა და რაიონების მიხედვით სახელმწიფო მოხელეებზე გაცემული ხელფასების, პრემიებისა და სამივლინებო თანხების მოცულობა (უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში).

21. გამოქვეყნდეს სახელმწიფო დაწესებულებების შეკეთების, კეთილმოწყობის, სატელეფონო, სატრანსპორტო მომსახურების თანხების მოცულობები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

22. გამოქვეყნდეს 1992 წლიდან მიღებული უცხოური დახმარებების ჩამონათვალი და ინფორმაცია მათი ხარჯვის შესახებ.

23. გაანალიზდეს მეწარმეთა – იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მიერ სასამართლო ორგანოებში შეტანილ სარჩელებზე გამოტანილი განაჩენები და შედეგები გამოქვეყნდეს პრესაში.

24. ხელისუფლების, ოპოზიციის, პოლიტიკური ძალების, არასამთავრობო სექტორის, მედიის, საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიქმნას კომისია, რომელიც მოაწყობს შეხვედრებს უცხოეთში წასულ საქართველოს მოქალაქეებთან მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შესწავლის მიზნით და შესაბამისი ქვეყნების ხელისუფლებებთან კავშირში იბრძოლებს მათთვის მინიმუმ იმავე პირობების შექმნისთვის, როგორიც ჩვენს ქვეყანაში აქვთ ამ ქვეყნების მოქალაქეებს.

25. პრეზიდენტმა შეასრულოს მისი წინასაარჩევნო დაპირება პენსიების სტაჟისა და დამსახურების მიხედვით განსაზღვრის თაობაზე და აღადგინოს ყველა ის შეღავათი, რომლებიც გაპრეზიდენტების შემდგომ გააუქმა და ამის თაობაზე არ ჰქონია გამოცხადებული წინასაარჩევნო პერიოდში.

„ემიგრანტთა განწყობა-გადაძახილი მომავლის საქართველოსთვის“ – ხუთი ძირითადი პუნქტი

პირველი – მიგრანტებს უნდა დაუბრუნდეთ სამოქალაქო უფლებები, სრულფასოვანი მოქალაქის შეგრძნება, შელახული ღირსება. მათ არა მხოლოდ იმ არჩევნებში უნდა მიიღონ მონაწილეობა, რომელიც კონსტიტუციით თითქოს გარანტირებულია, არამედ ევროპული ქვეყნების მსგავსად უნდა მიეცეთ უფლება, მაჟორიტარი დეპუტატები აირჩიონ იგივე წესით, რა წესითაც ისინი აირჩევიან სამშობლოში.

მეორე – ვინაიდან არც ქართველს, არც აფხაზს, არასდროს არ ჰქონია სხვა სამშობლო, გარდა საქართველოსი. ამიტომაც, მიუხედავად დროებითი ტერიტორიული პრობლემებისა, ყოველი **ქართველი,** ყოველი აფხაზი დაბადებისთანავე იურიდიულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მოქალაქედ. საჭიროა ამან თავისი ასახვა პოვოს ქვეყნის უმაღლეს კანონში – საქართველოს კონსტიტუციაში;

მესამე – საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, პიროვნებას არ უნდა ჩამოერთვას თავდაპირველი მოქალაქეობა, ვინაიდან ქართველი, სადაც უნდა იყოს, ყველგან ქართველად რჩება; ვინაიდან საქართველოს არ ჰყავს დასაკარგი შვილი... აქედან გამომდინარე, საჭიროა უმოკლეს ხანში პარლამენტის მიერ შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილების დამუშავება და მიღება.

მეოთხე – საჭიროა საქართველოს მთავრობამ მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა მის მოქალაქეებს იგივე უფლებები ჰქონდეთ უცხოეთში, რა უფლებებიც გააჩნიათ უცხოელებს საქართველოში.

მეხუთე – შეიქმნას **„სამშობლოში თანამემამულეთა დაბრუნების ფონდი“,** რომელიც მოხმარდება არა ერთეულთა პიროებების გაუმჯობესებას, როგორც ეს ათწლეულის მანძილზე ხდებოდა, არამედ უმუშევართა დასაქმებას, ქართულ ეკონომიკაში დასავლური გამოცდილების შემოტანას ისევ ქართველთა მიერ, უცხოელი მეგობრების გონებისა და მატერიალური სახსრების გამოყენებას საქართველოს საკეთილდღეოდ, ქართველ ერსა და ევროპელთა შორის ეკონომიკური ურთიერთობებისა და ნამდვილი სახალხო დიპლომატიის განვითარებას, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან ტრადიციული ურთიერთობების აღდგენასთან.



მარტის აკვარელი

შალვა მატუაშვილს

ნისლებში მაინც ჩანან ატმები
რძეში გარეულ ვარდისფერ კვამლით...
– გული კი უკვე ვეღარ გათბება
აჩეხილია
რბილი და ძვალი!

ტერასებიდან სამრეკლოს ზარი
გაწოლილ ნისლში
ბანგივით დნება...
– მიიღე, ძმაო, ეს ორი ბწკარი,
გფარავდეს ღმერთი
და უფლის ნება!

რეზო ამაშუკელი
2018 წლის 21 მარტი

მაყვალა გონაშვილს

პოეზიის დედოფალს

შესანიშნავ ადამიანსა და პოეტს, ერის ღირსეულ შვილს, ქალბატონ მაყვალა გონაშვილს ვულოცავ საიუბილეო თარიღს. ვუსურვებ დღეგრძელ, ჯანმრთელ, მშვიდობიან სიცოცხლეს, ულევი სიხარულით სავსე დღეებს.

უფალმა დალოცოს თავის სანაქებო ოჯახთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად და მიჰმადლოს მადლი, წყალობა და მფარველობა. იხაროს და იბედნიეროს!

სამოცი წლის იუბილეს
მოგილოცავ სიყვარულით,
იდღეგრძელე, არ მოგშლოდეს
ჯანი მრთელი, სიხარული.

დაგილოცავ დედას, ვინაც,
გშობა, გზარდა თბილი, სათნო,
ყველას მიმართ გვერდში მდგომო,
ჩვენს გულს სიყვარულით ათბობ.

შენს ოჯახთან, მონაგართან
იყავ მუდამ ბედნიერი
ღმერთმა მადლი მოგმადლოს და
დაგილოცოს ფუძე-ჭერი.

სულ გვესმოდეს წარმატება
შენი იმერ-ამიერი,
ღვთის წყალობა, მფარველობა
გქონდეს მრავალჟამიერი!

დიდი პატივისცემითა და
ქრისტესმიერი სიყვარულით
ნანული (ნანა) გუნია

რა წერილი მიიღეს ლონდონიდან დეპუტატებმა და რას მალავს ეროვნული ბანკი?!

(მესამე გვერდიდან) **არსებობს საშიშროება, რომ ეს დავა ლუქსემბურგის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეში გადაიზარდოს, ვინაიდან განცხადება ამ თემაზე იქაც არის შეტანილი“,** – განაცხადა სამი თვის წინათ დავით ჭიჭინაძემ და იქვე, არ გამორიცხა, რომ მოვლენების ამ სცენარით განვითარების შემთხვევაში, მოპასუხე მხოლოდ „საქართველოს ბანკი“ კი არა, არამედ, შესაძლოა, ბევრი ყოფილი ჩინოვნიკიც ყოფილიყო.

ჭიჭინაძის წინასწარმეტყველება, როგორც ჩანს, ახდა. კერძოდ, ბრიტანეთიდან მიღებულ წერილში (წერილი ფოტომასალის სახით იხილეთ მასალის ქვემოთ), რომლის ადრესატიც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძეა (ასლები, ჩვენი ინფორმაციით, აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ პაატა კვიჟინაძემ და კომიტეტის წევრმა დავით ჭიჭინაძემაც მიიღეს) ვკითხულობთ:

„ევროკავშირში დაფუძნებულმა კომპანიამ, რომელიც ფლობს Bank of Georgia plc გარკვეულ ფასიან ქაღალდებს LSE-ზე, დამავალა ჩამეტარებინა Bank of Georgia plc შესახებ შესაბამისი KYC („იცნობდე შენს მომხმარებელს“) პროცედურები. ამის შედეგად, მე აღმოვაჩინე ფინანსური შეუსაბამობის და ბანკის მიერ გადაცდომების მაიდენტიფიცირებელი მტკიცებულებები და ანგარიშები, რომელიც მოიცავს ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულების არშესრულებას, რაც არის მოთხოვნილი საერთაშორისო ფინანსური ანგარიშების სტანდარების (IFRS) და ფინანსური მართვის ორგანოს (FCA) წესების და რეგულაციების მიერ შესაბამისად ევროკავშირში და დიდ ბრიტანეთში და ამის შედეგად გარკვეული თაღლითური საქმიანობა.

ჩვენთვის, ასევე, ცნობილია დაკავშირებულ სამართალწარმოების და, ასევე, დანიშნული აუდიტორული კომპანიის მიერ დიდ ბრიტანეთში დაფუძნებულ მმართველ ორგანოებში წარმოებული გამოკითხვის შესახებ „საქართველოს ბანკის“ ზემოხსენებულ საქმიანობასთან და ფინანსურ შეუსაბამობასთან დაკავშირებით, რომლებმაც, მათ შორის, წარსულში, გამოიწვიეს აქციების და ფასიანი ქაღალდების დელისტინგი შესაბამისი საფონდო ბირჟებიდან.

უდავოა, რომ ბანკის გადაცდომის აღმოჩენილი ანგარიშები (რომლებიც დაკავშირებულია ისეთ აქტივობასთან, როგორიც არის „არაგაშლილი ხელის მანძილზე“ ტრანზაქცია რუსთავის აზოტის ქარხნის შეძენასთან დაკავშირებით და ასევე, ბანკის ყოფილი (მოქმედი) თანამშრომლების ჩართულობაზე თავიანთ იურიდიულ პირებზე სესხების გაცემასთან დაკავშირებით), შესაძლოა, გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია. ასეთმა თაღლითობის მტკიცებულებაზე დაყრდნობილმა ანგარიშებმა, მათ შორის, შესაძლოა, ზეგავლენა იქონიოს და შედეგად გამოიწვიოს:

ა) შესაბამისი საერთაშორისოდ აღიარებული საკრედიტო რეიტინგის სააგენტოების მიერ ბანკის კრედიტის რეიტინგის გადახედვა;

ბ) დიდი ბრიტანეთის ფინანსური მართვის ორგანოს (FCA), ირლანდიის ფინანსური რეგულატორების, საქართველოს სარეგულაციო ორგანოების, დიდი ბრიტანეთის და ევროკავშირის სამართალდამცველი ორგანოების მიერ ფორმალური გამოძიების დაწყება;

გ) ბანკის ფასიანი ქაღალდების (დეპოზიტების) მფლობელების მიერ სარჩელის შეტანა დიდ ბრიტანეთში და საზღვარგარეთ.

მე ასევე მჯერა, რომ ევროკავშირის და დიდი ბრიტანეთის რეგულაციების და სისხლის სამართლის კოდექსის ზემოხსენებული აღმოჩენილი დარღვევები არა მხოლოდ გამოიწვევს „საქართველოს ბანკის“ რეპუტაციის გაფუჭებას, არამედ, მას შემდეგ, რაც ეს გახდება საჯაროდ ცნობილი, ასევე, გამოიწვევს არასტაბილურობას უშუალოდ საქართველოში:

ა) დააკარგვინოს საერთაშორისო ინვესტორების საზოგადოებას განვითარებადი ბაზრის კომპანიების აქციების და ფასიანი ქაღალდების მიმართ ინტერესი;

ბ) როგორც მინიმუმ, უახლოეს პროგნოზირებად მომავლის განმავლობაში შეაჩეროს შესაბამისი საინვესტიციო გადაწყვეტილებები ქართული აქციების და ფასიანი ქაღალდების მიმართ;

გ) გამომდინარე დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ აღმოჩენილი ანგარიშის სერიოზულობისა, შესაძლებელია, ყველა ქართული კომპანია დაუპირისპირდეს ინვესტორების მიერ დამატებით რეპუტაციულ ეჭვებს, განსაკუთრებით ასეთი მსხვილი მოთამაშის მიერ ევროკავშირში დაფუძნებული ინვესტორის მიმართ გადაცდომიდან გამომდინარე.

შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით, ჩაიხედოთ რუსთავის აზოტის ტრანზაქციაში 2016 წლის აგვისტო-სექტემბრის მდგომარეობით, „საქართველოს ბანკის“ და ჯგუფის მიერ შესაბამის სესხის გაცემის აქტივობებში SPV (სპეციალური მიზნის ინსტრუმენტი) კომპანიებზე, მათ შორის, მათი ყოფილი და მოქმედი თანამშრომლების ურთიერთქმედებებზე რუსთავის აზოტის ქარხანაში დაწყებული 2016 წლის აგვისტოდან დღემდე.

ჩვენ მზად ვართ, გაგიზიაროთ ჩვენი დასკვნები, თქვენთვის მოსახერხებელ უახლოეს დროს, მოვაწყოთ შესაბამისი შეხვედრები ლონდონში ან თბილისში, ანუ წარმოგიდგინოთ ჩვენი დასკვნები დიდი ბრიტანეთის, საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების რეგულაციებთან ფინანსური შეუსაბამობის და თაღლითური საქმიანობის შესახებ. შესაბამისად, ჩვენ მოველით თქვენს დახმარებას და რჩევას ამ საკითხთან დაკავშირებით“.

> წერილი, რომელსაც ხელს „მაიკლ ო'კიფი ასოშიეტის“ წარმომადგენელი მაიკლ ო'კიფი აწერს, ჩვენი ინფორმაციით, ეროვნულმა ბანკმაც მიიღო, თუმცა ქვეყნის მთავარი საფინანსო უწყება აღნიშნულ წერილს, როგორც ჩანს, მალავს და მისი გასაჯაროებისგან თავს იკავებს. არადა, იმ შემთხვევაში, თუ ბრიტანეთის სამართლებრივ უწყებებში წარმოებული დავა ბანკისთვის არასახარბიელოდ გადაწყდება, ამით, უპირველესად, „საქართველოს ბანკის“ მეანაბრეები დაზარალდებიან და ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობა უფრო მძიმე ფინანსურ დარტყმას მიიღებს!

ნათია თურნავა: ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობა მცირე ჰესებზე დგას

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნათია თურნავა გუშინ ახლადაშენებულ „შილდაჰესი-1“-ს ეწვია და ადგილზე პირადად გაეცნო ჰიდროელექტროსადგურის მუშაობას. ეკონომიკის მინისტრის მოადგილესთან ერთად, ჰესი ენერგეტიკის განვითარების ფონდის დირექტორმა გიორგი ჩიქოვანმა და კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ირაკლი ქადაგიშვილმა დაათვალიერეს.

სადგური, რომელიც ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდაში მდინარე ჩელთზე მდებარეობს, ექსპლუატაციაში რამდენიმე თვის წინათ შევიდა. ის მცირე ზომის ჰესია სიმძლავრით 1,2 მეგავატი, სადგურის წლიური გამომუშავებაა 8,7 მლნ. კვტ.სთ. ჰესის მშენებლობისთვის კომპანია „ჰიდრო ენერჯი“-ს მიერ განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა 1 800 000 აშშ დოლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ სადგურის მშენებლობის პერიოდში დასაქმებული იყო 50, ხოლო ჰესის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, დასაქმდა 12 ადგილობრივი მოსახლე. „შილდაჰესი-1“ მუნიციპალურ ბიუჯეტში ყოველწლიურად 40,000 ლარამდე გადასახადს იხდის.

როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, „შილდაჰესი-1“ მცირე ზომის, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი სადგურია არამარტო სოფელ შილდისთვის, არამედ მთელი ყვარლის მუნიციპალიტეტისთვის. „ეს არის ეკოლოგიურად სუფთა, ე.წ. „მწვანე ჰესი“, ეს არის ჩვენი ქვეყნის მომავალი – სწორედ ასეთი ტიპის მცირე სადგურებზე დგას საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობა. ვულოცავ ინვესტორს, კახეთის რეგიონს ამ წარმატებულ პროექტს. ჩვენ წელს კიდევ ბევრ ასეთ ჰესს გავხსნით“, – აღნიშნა ნათია თურნავამ.

კავკასიური ილიადას გზა-ბილიკებზე

გახსოვთ, ალბათ, თბილისის ქუჩებში გამოფენილი ბილბორდები წარწერით: ჩაწვდით ამერიკის სულს. და ეს იყო... „სპრაიტის“ რეკლამა. თურმე დალევდი „სპრაიტს“ და... ამერიკის სულსაც ჩასწვდებოდი.

ცხადია, არამცთუ ეს სასმელი, საერთოდ რაც კი სასმელი მოიპოვება ამ ქვეყანაში, ყველასაც რომ გაუსინჯო გემო, არამცთუ ვერ ჩასწვდები, ვერც მიუახლოვდები ამერიკის სულს, რომლის სიღრმეებში შესაღწევადაც ესენი თუ გიმეგზურებენ: რალფ უოლდო ემერსონი, უოლტ უიტმენი, რობერტ ფროსტი, უილიამ ფოლკნერი, ტომას ვულფი და ბევრი კიდევ სხვაც.

და თუ გინდა ჩასწვდე ქართულ სულს, გიმეგზურებს თუნდ ალექსანდრე ყაზბეგი, რომლის კავკასიური საგაც ამოზრდილია ხევის სივრცეში, როგორც მის პერსონაჟთა მთავარი სამოქმედო არეალი; და მითუფრო შეგეწევა ამ მხარის შეცნობაში, მისი ლანდი რომ მფარველობდა ამ ორიგინალური აღნაგობის წიგნსაც: **ყაზბეგის ინგლისურენოვანი ტურისტული გზამკვლევი** – რომლის სახელწოდებაც პირობითია, რადგან ეს წიგნი გაცილებით ბევრისმომცველია და, შესაბამისად, უფრო მნიშვნელოვანიც, ვიდრე ტურისტული გზამკვლევია.

არამარტო უაღრესად მდიდარი ინფორმაციულად, არამედ მასალების გემოვნებიანი შერჩევითა და განლაგებითაც მიმზიდველი.

ავტორები პროექტისა, რომელიც მომზადდა **ევროკავშირის** მიერ დაფინანსებული წამოწყების **„სოფლის განვითარების მოდელების სრულყოფა საქართველოში“** არიან: **ანა გელაშვილი და გიორგი ზაგაშვილი**.

თავმოყრას მრავალფეროვანი მასალისა, რომელიც მოიცავს ცნობებს ყაზბეგის (ხევის) ისტორიისა და კულტურის ძეგლების; ბუნების ძეგლების; ეთნოგრაფიისა და ალპინიზმის; ენდემური სახეობების; ტურისტული მარშრუტებისა და ტურისტული სერვისის შესახებ ავტორთა ჯგუფი ითავებდა: **ნანა ფირანიშვილი, იაგო კაზალიკაშვილი, ოთარ წამალაიძე, დავით გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ გელაშვილი** და **ლიკა კაპანაძე**.

თარგმანს ინგლისურ ენაზე მოამზადებდნენ **ერიკ კურსტან ჰალვორსონი** და **თამთა ყალიჩავა**.

საარქივო ფოტომასალის გვერდით უხვადაა გამოყენებული ის ფოტოები და არცთუ იშვიათად სულაც ფოტოეტიუდები, რომელთაც გადაიღებდნენ: **ბადრი ვადაჭკორია, ვანო ფიცხელაური, პაატა ვარდანაშვილი, იაგო კაზალიკაშვილი, ბესიკ მაცაბერიძე, ნანა ფირანიშვილი, ლიკა კაპანაძე, ოთარ წამალაიძე, გიორგი ზაგაშვილი, გიორგი კურკუმული, დავით გოგუაძე, ზაზა ქარდავა, იაგო ჯანუყაშვილი, გიორგი გომიაშვილი, გოგი ფიცხელაური, კახაბერ სუხიტაშვილი, თორნიკე დიასამიძე, ნინო ბულაშვილი, თამუნა გოდერძიშვილი** და **ნიკოლოზ გელაშვილი**.

საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით დაზუსტდებოდა და შემოწმდებოდა ისტორიული სახელწოდებანი – ეს უაღრესად საშური და მნიშვნელოვანი საქმეც საკმაოდ მოგვარდებოდა.

ამ მხრივ ყაზბეგის ტურისტული გზამკვლევის ავტორებს მოუწევდათ ისეთივე გარჯა, რაც ბიოგრაფიული რომანების ავტორებს აწევთ კისრად ჩვენში.

თუნდ იმ ინგლისურ სამყაროში, რა ენაზეც მომზადდა ეს წიგნი, ამ ყაიდის გზამკვლევთა შემდგენელთ თუ ავტორებს მოეთხოვებათ მხოლოდღა გემოვნებით შერჩევა და დალაგება სამარშრუტო გზებისა. და ეს იმიტომ, რომ: ისტორია ამ ქვეყნის ამა თუ იმ მხარის ყოველმხრივ შესწავლილია და გამოკვლეული, ტოპონიმიკა თუ ცალკეული ცნობები – დაზუსტებულიც და შემოწმებულიც.

ისევე როგორც ბიოგრაფიულ თხზულებათა შემოქმედთ ხელთ აქვთ მეცნიერულად დეტალურად გამორკვეული და წარმოჩენილი ცალკეულ მწერალთა თუ მოღვაწეთა ცხოვრებაც და ლიტერატურულ-ისტორიული მემკვიდრეობაც და მთელი ის ეპოქაც. და მარტოდენ მხატვრულ ქარგაში მოქცევა ევალებათ.

ადვილია განა ამ მხატვრული ქარგის გამოძებნა?

ან ადვილია განა სამარშრუტო გზების შერჩევა და დალაგება?

და მითუფრო მეტი გარჯა მოგვეთხოვება ამ მხრივ საქართველოში, სადაც ჩვენვე უნდა ვიყოთ: მომძიებლებიც, დამზუსტებლებიც, სანდო სურათთა აღმდგენელნიც, შესაფერისი სიუჟეტურ-კომპოზიციური სტრუქტურის შემქმნელნიც, ანუ მუშებიც, კალატოზებიც და არქიტექტორებიც ერთდროულად.

ჯერ მარტო ტოპონიმების დადგენა-დაზუსტებაა ხანგრძლივი პროცესიც და ბევრგვარად თავსამტრევიც, აქ საბოლოო სახეს ტოპონიმებისა ისე რომ გვაწვდიან ყაზბეგის რაიონის დეტალურ რუკაზე, თითქოსდა აღნიშვნის მეტი არაფერი სჭირდებოდეს.

ხევის რუკა, პირველსახით, მანამდეც იყო მომზადებული და ცალკეც დასტამბული, ბიძგი და შთამაგონებელი რომ აღმოჩნდებოდა ამ გზამკვლევისათვის; სწორედ იმ საფუძვლად, რომელიც უსათუოდ უნდა გაღრმავებულიყო, განტოტვილიყო და იმ მრავალმხრივი სახით წარმომდგარიყო, რაც ამჟამად გვიპყრია ხელთ.

თავის დროზევე გამოვეხმაურებოდი იმ რუკას (როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე გამოცემულს), მეტაფორულად პოემადაც რომ მოვიხსენიებდი.

თუ ამ კუთხით შევადარებთ:

ის უფრო ლირიკული პოემა გახლდათ.

ეს გამოცემა კი პირწმინდად ეპიკურია.

და როგორც ის რუკა შეიქმნა შემაგულიანებელი ამ უფრო მაღალი საფეხურისთვის, ისე ყაზბეგის ტურისტული გზამკვლევიც უსათუოდაც და კიდევ უფროდაც გაღრმავდება, განტოტება და გაცილებით მოზრდილ წიგნსაც აღმოაცენებს.

და საფიქრებელია, რომ ისტორიისა და კულტურის ძეგლების ირგვლივ სულაც ცალკე და დროულადაც მომზადდება ის ნაშრომი, ამ მხარის ეკლესია-მონასტრებსაც სრულყოფილად რომ წარმოგვიჩენს და ისტორიულად მნიშვნელოვან ძეგლებსაც – არანაკლები სახიერებითა და დეტალიზებით.

და მეტაფორულად ასე შეიძლება ითქვას:

ყაზბეგის ტურისტული გზამკვლევი კარიბჭედ და გზა-ბილიკებზე შემყენებლად მოჩანს ეპოსისაკენ.

ალექსანდრე ყაზბეგმა აღგვიმართა ახალი დროის საგმირო ეპოსი.

და ყოველივე, რაც ხევსა და მოხევეებზე შეგვიქმნის სრულ შთაბეჭდილებას, გამოიკვეთება მისი კავკასიური ილიადას ვრცელ ექსკურს-კომენტარებადაც.

ერთადერთი ნაკადი, რაც ამ წიგნს აკლია, არქეოლოგიური მონაპოვარია. ამ თვალსაზრისით ხევიც საკმაოდ გამოირჩევა და ტურისტული გზამკვლევის ავტორებმაც სავსებით გაიზიარეს **დავით მინდორაშვილის** ეს რჩევა და დაგვპირდნენ, რომ: უფრო შევსებული გამოცემა არქეოლოგიური მასალის გარეშე აღარ იქნება.

არქეოლოგმა ეს სურვილი გამოთქვა **საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის** საგამოფენო დარბაზში, სადაც ორგანიზაცია „ლომეკისა“ და **ევროკავშირის** მხარდაჭერით გაიმართა ყაზბეგის ინგლისურენოვანი ტურისტული გზამკვლევის წარდგინებაც და ფოტოგამოფენაც: **„უცნობი თრუსოს ხეობა“**.

თრუსოს ხეობასთან დაკავშირებით ეთნოგრაფ და ისტორიკოს როლანდ თოფჩიშვილის გამოსვლა გახლდათ მძაფრი დრამატიზმით აღსავსე, რაკიღა კრემლი ოსების სახელით გეგმავს ამ ხეობის მიტაცებას, მერე კი მთელი ხევისაც. ყურს ნუ მოვუყრუებთ ამ ხმებს, რაც გაისმის, ნუ მივიჩნევთ აბსურდულად სამხედრო ექსპანსია ყოველთვის ასე იწყება: ყალბი ცნობების გავრცელებით, ცრუ ინფორმაციების ძალის გაშლით, ჟეშმარიტების თანდათანობითი დათრგუნვითა და საზოგადოებრივი ცხოვრების დაჩლუნგებით.

თავყრილობაზე სხვებსაც მოუწევდათ გამოსვლა, ორგანიზაცია **„ფიფლ ინ ნიდ ჯორჯია“ („ხალხი საქართველოს საჭიროებისათვის“)** მენეჯერსაც – **სალომე ბაკაშვილს**, და სხვადასხვა დარგის მეცნიერებსაც, მწერლებსაც და ფოტოხელოვანებსაც: **გიორგი გაგოშიძეს, გიორგი ბაგრატიონს, პარმენ მარგველაშვილს, ლია ფირანიშვილს, დავით გოგუაძეს, ვანო ჯაფარიძეს, ნანა ვალიშვილს, ბადრი ვადაჭკორიას, ბაბუა ალუდაურს, ამირან არაბულს, არჩილ ქიქოძესა** და **თქვენს მონა-მორჩილს**.

და გზამკვლევის ყველა ასპექტი ლაკონიურად, მაგრამ არსებითი და ნიშანდობლივი შტრიხებით წარმოჩნდებოდა. ასე რომ, საღამო საგანმანათლებლო იერსაც შეიძენდა, ბევრი დასამახსოვრებელი მოსაზრება რომ გამოითქმოდა, თავყრილობას კი მოხდენილად დააგვირგვინებდა **„ამერ-იმერის“ ბავშვთა ანსამბლი, ნანა ვალიშვილის** ხელმძღვანელობით.

ხოლო თავყრილობის შუაგულში იდგებოდა **ანა გელაშვილი,** არამარტო მის გამხსნელად და წამყვანად, არამედ, რაც მთავარია, ისეთი პიროვნებების შერჩევითა და მათი გამოსვლების ისე აწყობით, ჩინებული სანახაობის მოწმენიც რომ შევიქნებოდით, თითქოსდა წინასწარვე დაწერილ პიესაში ვმონაწილეობდით.

იგი ისევე იქნებოდა წარმმართველი ამ თავყრილობისა, როგორც ტურისტული გზამკვლევისა. და როგორ არ გაგხსენებოდა ეთერ თათარაიძის ნათქვამი, ჩვენი შესანიშნავი პოეტის, რომლის ყოველი სიტყვაც და შეფასებაც ასე ძვირად გვიღირს:

ანა გელაშვილი არამარტო თავისი იშვიათი გარეგნული მომხიბვლელობით ამშვენებს ყველაფერს, სადაც გაერევა თუ სულაც წარმართავს, არამედ სულიერი სილამაზითაცო.

და მართლაც ეს ახალგაზრდა ქალი ჩვენ თვალწინ ჩამოყალიბდა არამარტო ჩინებულ ხელოვნებათმცოდნედ, არამედ მოღვაწედაც და სულ უფრო ხშირად ამიტომ გვესმის მისი სახელი სასიკეთო საქმეთა აღსრულებისას. ხევს კი, თავის მშობლიურ მხარეს, პატრონად მოევლინა **იორამ ღუდუშაურის** კვალზე შემდგარი და დაპირებები, რაც მოვისმინეთ ყაზბეგის ინგლისურენოვანი ტურისტული გზამკვლევის წარდგინებისას (მათ შორის, მისი ქართული ვერსიის დროული და შევსებული გამოცემაც), ამიტომაც აღიქვა საზოგადოებამ სავსებით რეალურად.

...და მაშ კიდევ უფრო ახლოს მოვა და სულ უფრო საცნაური შეიქნება ალექსანდრე ყაზბეგის კავკასიური ილიადას ისტორიულ-გეოგრაფიული ფონის შთამბეჭდავი იერიც და მისი გზა-ბილიკებიც!..

როსტომ ჩხეიძე

ლიტერატურული ჟურნალი - თელავიდან მთელ საქართველოს



გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2019 წლის პირველი ნომერი, რომელიც იხსნება ცნობილი ჟურნალისტის **მერი ზაალიშვილის** აზგა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითისადმი მიძღვნილი წერილით „მოღვაწე“. ჟურნალი 60 წლის იუბილეს ულოცავს მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს გიზო თავაძეს. „მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკაში გრძელდება **როლანდ გიორგაძის** რომანის „დისო, დისო...“ პუბლიკაცია. ასევე დაბეჭდილია **გიზო თავაძის, თინათინ სიყმაშვილის, ივეტა პავლიაშვილის, მაია კაკაურიძის** მოთხრობები; ქვეყნდება **ელდარ ჭიჭიაშვილის, ზოია ვაშაკიძის, ვაჟა ოთარაშვილის, ეკა კვანტალიანის, თემურ ტაბატაძის, მარიამ დედაბრიშვილის, ნანა მანიჟაშვილის, ანი ჭამაურის** ლექსები.

რუბრიკით „დოკუმენტური პროზა“ იბეჭდება **გივი ჩიღვინაძის** „აღდგომელა გლოველი“. რუბრიკაში „მწერლის სიტყვა“ ქვეყნდება **ფარნა რაინას** „ალმანახ „ამერ-იმერის“ კურთხევა – დიდი ერეკლეს ქალაქში...“ წერილების განყოფილებაში წაიკითხავთ **ნათია მჭედლიშვილის** „ამირანიანის ქალები“. კულტურული ცხოვრების ქრონიკაში გაეცნობით ინფორმაციებს: „თელავში ვანო იანტბელიძის ვარსკვლავი გაიხსნა“, „ფოლკლორულ ანსამბლ „წინანდლის“ ვარსკვლავი“, „შეხვედრა პოეტებთან“.

ჟურნალ „ოლეს“ გარეკანის პირველი გვერდი გაფორმებულია **ზვიად მექვაბიშვილის** ნახატით. გარეკანის მეოთხე გვერდი კი ქართული სამი ცოცხალი ანბანით შესრულებული ხელნაწერით, რომელიც ეძღვნება იუნესკოს მიერ ქართული ანბანის აღიარებას. ხელნაწერი, როგორც კალიგრაფიის ნიმუში 2018 წელს გამოფენილი იყო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე. **ავტორი აზგა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი.** ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **შოთა ნარეკლიშვილი**) მხარდაჭერით.

„ცხოვრებაში ყოველივეს ვერ იხილავ, ზოგიერთი შენ გიხილავს“

ასე ამბობდა ელისაბედ ტეილორი

ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**

ბრილიანტების ბეჭდები პინგ-პონგი

რიჩარდის ეს საჩუქარი სამი ბრილიანტის ბეჭდისგან შედგებოდა. ცოლ-ქმარს „პინგ-პონგის“ თამაში უყვარდა (მაგიდის ჩოგბურთი), თვითონ ელისაბედი ხელიდან არ გაუშვებდა შეჯიბრებაში ჩაბმის შესაძლებლობას. რიჩარდმა ერთხელ გშტაადში პირობა მისცა მეუღლეს, ბრილიანტის ბეჭედს გაჩუქებ, თუ 10 ქულით მომიგებო. ელისაბედმა მართლაც მოუგო და რიჩარდი ეგრევე წავიდა ქალაქში ბრილიანტისთვლიანი ბეჭდის საძებნელად. დაბრუნებულმა ერთი კი არა, ერთბაშად სამი ბეჭედი ჩამოიტანა ბრილიანტის თვლით, რომელთაც მალევე „ბრილიანტის ბეჭდები პინგ-პონგი“ შეარქვეს.

უელსელი პრინცის გულსაბნევი

ეს ბრილიანტებიანი გულსაბნევი, 1935 წელს დამზადებული, უინძორელი ჰერცოგის ცოლს ეკუთვნოდა, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ემეგობრებოდა „ჰოლივუდის ვარსკვლავი“.

ბზინვარე ბრილიანტის გულსაბნევი სამი ბუმბულის ფორმით შესრულებული, უინძორელმა ჰერცოგმა საჩუქრად მიართვა მეუღლეს. ვინაიდან ელისაბედს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა სამეფო წყვილთან, შეხვდებოდა თუ არა ჰერცოგის მეუღლეს, ყოველთვის აღტაცებას გამოხატავდა გულსაბნევის გამო. გულსაბნევი იმდენად მოსწონდა ელისაბედს, რომ ჰერცოგის ცოლმა ამ სმკაულის ასლის შექმნა ბრძანა, მაგრამ ელისაბედი დაეუარა.

კარგა ხნის შემდეგ, როს ჰერცოგის ცოლი გარდაიცვალა, ხოლო მთელი მისი ქონება აუქციონზე გაიტანეს, ტეილორმა ყველა მეტოქის თანხას გადაამეტა და მეგობრის ხსოვნის პატივისცემის ნიშნად 1987 წელს შეიძინა ის გულსაბნევი. მერმე ელისაბედი იგონებდა: „ამ ჭეშმარიტად სამეფო სამკაულს მარტოოდენ განსაკუთრებული შემთხვევების დროს ვიბნევ, რამეთუ ის ჩემთვის ძალიან ბევრს რასმე ნიშნავს“.

ელისაბედ ტეილორის შესახებ

დეგი რეინოლდსი, (ამერიკელი მსახიობი და მომღერალი):

დეგი რეინოლდსი ედი ფიშერის მეუღლე იყო, როცა 1957 წელს ედისა და ელისაბედ ტეილორს შორის რომანი გაიბა, რომელიც ქორწინებით დამთავრდა. ეს სკანდალი იმ დროის ყველაზე უფრო ხმაურიანად შეიძლება რომ ჩაითვალოს.

„ელისაბედ ტეილორი ჩვენი თაობის ყველაზე უფრო მომხიბვლელი და სექსუალური ვარსკვლავია, რომლის კარიერა ხანგრძლივიც იყო და წარმატებულიც. ქვეყანაზე ვერავინ შეედრებოდა ელისაბედს სილამაზითა და სექსუალურობით. ის ქალებსაც მოსწონდათ, კაცები აღმერთებდნენ, ხოლო ელისაბედის დედობრივი სიყვარული ჭეშმარიტად უსასრულო იყო. ის დიდების სიმბოლოდ გვყავდა წარმოდგენილი. ტეილორის მემკვიდრეობა არასოდეს არ მოკვდება“.

მარტინ ლანდაუ, (კინოსა და ტელევიზიის მსახიობი):

„ელისაბედ ტეილორი ფლობდა უიშვიათეს და უბადლო ნიჭს, აგრეთვე საოცარი პიროვნება იყო“.

ჯო სოლომონეზი, (ადამიანის უფლებათა კამპანიის პრეზიდენტი):

„ელისაბედ ტეილორი პირველი იყო, ვინც შიდსის პრობლემებზე ალაპარაკდა, ეს მაშინ, როცა უმრავლესობას პირში წყალი ჰქონდა ჩაგუბებული 80-იან წლებში. ტეილორის შემწეობით მილიონი დოლარი დაგროვდა ამ დაავადებასთან საბრძოლველად. დღეს ყოველი ჩვენი აზრები და ლოცვები მიმართულია ელისაბედის ოჯახის მიმართ, აგრეთვე ყველა იმის მიმართ, ვისი ცხოვრებაც უკეთესობისკენ შებრუნდა ამ უიშვიათეს და არაჩვეულებრივ ქალბატონთან შეხვედრის შემდეგ“.

ქეთი კურიპი, ამერიკელი ტელეგამძღოლი, ჟურნალისტი და პროდიუსერი:

„ელისაბედი იყო წარმოუდგენლად ადამიანური და დაუჯერებელიც კია იმდენ კეთილ საქმეს დაადგა თავი შიდსით დაავადებულთათვის! სწორედ ეს არის ტეილორის ყოვლის უფრო დიადი მემკვიდრეობა“.

ეველინ კეისი, ამერიკელი მსახიობი:

„ელისაბედ ტეილორი შეიძლება რომ ჩაითვალოს ჭირვეულ, უფრო სწორად, ახირებულ ვარსკვლავად პრაქტიკულად ყველაფერში – ჩაცმის მანერა იქნება ეს თუ თავის დაჭერა ანდა ზნე-ჩვეულება თუ პრანჭვა-გრეხა. ის ასპროცენტიანი კინოვარსკვლავი იყო“.

მაიკლ უაილდინგი, (ელისაბედ ტეილორის ვაჟი):

„დედაჩემი სულაც არ იყო ჩვეულებრივი ქალი. მან ვნებით გამსჭვალული ცხოვრების განვლა შეძლო, არც ხუმარსიტყვა დაჰკლებია და არც ტრფობა. დღეს უკვე ვიცით, ის სამყარო, რომელშიც დედაჩვენი ცხოვრობდა, საუკეთესო ადგილი იყო იმისთვის. რა თქმა უნდა, ელისაბედ ტეილორის მემკვიდრეობა არცროდის არ გაქრება, მისი სული მუდამ ჩვენთან იქნება, იმისი სიყვარული კი მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულებში“.

ბარბარა სტრეიზანდი, (ამერიკელი მომღერალი და მსახიობი):

„ჰოლივუდის დედოფლის“ იმ სოფლად გასვლით მთელი ეპოქა დამთავრდა. ცხადია, საქმე მარტო იმისი სილამაზე და შორს გავარდნილი დიდება როდია, მთავარია ელისაბედის ადამიანურობა. ის სერიოზულად (საგულოდ) და დიდხანს უტრიალებდა შიდსის პრობლემებს. ის უაღრესად გულგახსნილი და გულუხვი იყო. არასოდეს ფუჭად არ ხარჯავდა საკუთარ ცხოვრებას“.

ბრწყინვალე ელისაბედის უდრეკი ნებისყოფა

მე იმის საუცხოო მაგალითი ვარ,
თუ რა შეიძლება, რომ ქალმა გამოიაროს
და ამასთანავე, ცოცხალი დარჩეს.

ელისაბედ ტეილორი

ადამიანები ხშირად შურის თვალით უყურებენ ვარსკვლავებს, ამჩნევენ რა მხოლოდ სოფიტების ჩახჩახს და იმ პრიალა ჟურნალების ყდებს, ზედ ვარსკვლავნი რომ არიან გამოსახულნი. ცოტა ვინმემ თუ იცის, რა ჯანმრთელობის პრობლემები სტანჯავდნენ ელისაბედ ტეილორს მთელი თავისი ცხოვრების სიგრძეზე. შეიძლება ვარაუდი, რომ სწორედ ეს პრობლემები ხდიდნენ ალკოჰოლის მიმართ არაგულგრილს, რათა იქნებ როგორმე დაეცხრო როგორც სულიერი, ისე ფიზიკური ტკივილი.

ელისაბედი მთელი ცხოვრება უჩიოდა ჯანმრთელობას. ერთხელ ასეთი რამეც კი ითქვა: „თუ ჰაერში თუნდაც ორი მიკრობი დაფრინავდეს, ორსავე აუცილებლად ტეილორი გადაეყრება...“. ელისაბედ ტეილორი საავადმყოფოში ორმოცჯერ ან იქნებ მეტადაც მოხვდა. პირველი მნიშვნელოვანი დარტყმა ჯანმრთელობის მხრივ ბედმა „კლეოპატრას“ გადაღებისას მიაყენა. ჩვეულებისამებრ, ყველაფერი მოულოდნელად და საშინლად მოხდა. ჯერ იყო და მტკივანი კბილი ამოუღეს ელისაბედს, მერე ახლა ზედ გაცივება დაერთო, რასაც თან მტანჯველი თავის ტკივილები ახლდა. ერთ დილით კი მსახიობი მოულოდნელად გალურჯდა და ხველებისგან იხრჩობოდა. ბედად სასტუმროში, სადაც ლუქსის ნომერში ელისაბედი და ედი ფიშერი ცხოვრობდნენ, ექიმი-ანესთეზიოლოგი აღმოჩნდა. როცა ექიმს დახმარება სთხოვეს, ელისაბედი უკვე უგონოდ იყო, კოლაფსი დაეწყო. დიდი-დიდი თხუთმეტი წუთიღა ეცოცხლა. ლიზი ანესთეზიოლოგის წამიერმა რეაქციამ იხსნა, მან ფილტვებში იმდენ ხანს უტუმბა სუფთა ჟანგბადი, სანამ მსახიობი გონს არ მოვიდა.

თუმცა, ელისაბედს სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა, სწრაფად გადაიყვანეს კლინიკაში, სადაც მსახიობს სასულე გაუჭრეს, რათა შეშუპება მოეცილებინათ, რომელიც ახრჩობდა. მსახიობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო. აღმოუჩინეს აგრეთვე სტაფილოკოკური პნევმონია, ანემიით გართულებული. იგი დროდადრო გონს კარგავდა, ელისაბედის საწოლთან მორიგეობდა დიდი ბრიტანეთის დედოფლის პირადი ექიმი. საზოგადოება ღელავდა, ყოველ 15 წუთში ერთხელ კლინიკის კარზე აკრავდნენ ბიულეტენებს ელისაბედ ტეილორის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. იმისდა მიუხედავად, რომ მუდმივად უსხამდნენ სისხლს და შიგავენურად მკვებავი სითხე შეჰყავდათ, ელისაბედი პრაქტიკულად არ ეხმაურებოდა ანტიბიოტიკებს. იყო ერთი მომენტი, როცა მსახიობმა სუნთქვა შეწყვიტა და მაშინ ექიმებმა გააფრთხილეს ედი, როგორმე უნდა შეეგუო ცოლის უბედურებასო. ამის გაგონება იყო და ფიშერი აქვითინდა, მაგრამ ცოლის სიცოცხლისთვის ბრძოლა არ შეუწყვეტია.

ფიშერმა ექიმთაგან შეიტყო, ამერიკის შეერთებულ შტატებში არის რაღაც შრატი, რომელიც უებარია ასეთ შემთხვევებშიო. მან სასწრაფოდ დაურეკე მეგობრებს და სთხოვა, რაც შეიძლება მალე ჩამოეტანათ ლონდონში ის შრატი. ამ დროს ელისაბედმა, რომელსაც დროდადრო ცნობა უბრუნდებოდა, ქაღალდის ფურცელზე დაწერა: „ნუთუ ვკვდები?“ ხოლო მეორედ: „მიყვარხარ“. ამის შემდეგ მან ბოდვა დაიწყო. ელისაბედი იმ მომენტს მიუახლოვდა, რომლის იქით არყოფნა იწყება, მაგრამ ამ წუთებში წამიერად მოიხედა, სიცოცხლის ჟინი დაუბრუნდა და გაღმა სოფლისგან გაიმიჯნა. მოგვიანებით ის იტყვის, საფლავიდან ედი ფიშერმა ამომიტაცაო. „ყოველი თვალის გახელაზე ედის ვხედავდი, – ამბობდა იგი, – ის მუდამ ჩემ გვერდით იყო, მაძლიერებდა და სიცოცხლისთვის ბრძოლას მაიძულებდა. სულ იმას შთამაგონებდა, გამოჯანმრთელდებიო, თუმცა ესმოდა, რომ საქმე მთლად ასე არ იყო. შევცქეროდი და ვგრძნობდი, რარიგ პირთამდე მავსებდა ჩემთვის თავგადადებული ამ კაცის სიყვარული“.

ფილმ „რეინტრი ოლქი“-ს გადაღებისას ელისაბედი ავტომობილში იჯდა, უკან თავგადაწეულს ვენტილატორი ცივ ჰაერს პირდაპირ უბერავდა – ვითომ გრიგალისებრი ქარი. სცენა იყო ასეთი. უცებ, ელისაბედს თვალში პაწაწინა ლითონის ნამსხვრევი ჩაუვარდა. ამოღებით თითქოს მაშინვე ამოუღეს, შეუხვიეს კიდეც, მაგრამ რამდენიმე ხანში ჭრილობის ადგილას იარა გაჩნდა, ოპერაცია გახდა საჭირო. სამწუხაროდ, ჭრილობა არ შეხორცდა, შეშუპდა და დაჩირქდა. ელისაბედმა ექიმებს კვლავ მიმართა. ლითონის ნამსხვრევი ამოღებული რომ ეგონათ, თურმე, ისევ ჩარჩენილიყო. როგორც ელისაბედი იგონებდა, რათა ის ნამსხვრევი ამოეღოთ, თავზე მარწუხი მოუჭირეს, მერმე კი ნემსითა და პატარა დანით გაუჭრეს ლამაზი იისფერი თვალი! ელისაბედს მთელი ცხოვრება დაახსომდება ის ხმიანება, ოპერაციას თან რომ ახლდა: „საზამთროს რომ ვკბეჩ, ისეთი ხმა მესმოდა, ოღონდ ბევრად სუსტი“.

მალე ელისაბედი კვლავ აღმოჩნდება საავადმყოფოში: შემთხვევით დაეცა და ხერხემლის დისკოები გადაუადგილდა, რამაც მარჯვენა ფეხის პრობლემები გამოიწვია, მგრძნობელობა მთლიანად წაერთვა. 1956 წლის 8 დეკემბერს ელისაბედმა ხერხემალზე ურთულესი ოთხსაათიანი ოპერაცია გადაიტანა...

40 წლის ასაკიდან ელისაბედ ტეილორს ჯანმრთელობის მხრივ მუდმივი პრობლემები დაეწყო. ჯერ იყო და გადაუნერგეს ორივე ფეხის მენჯ-ბარძაყთა სახსრების ხელოვნური შემცვლელნი, მერე რამდენჯერმე მოხვდა საავადმყოფოში გულის არითმიის, გულისავე უკმარისობის, კანის კიბოს, ფილტვების დაავადებისა და სხვა არაერთი სნეზისა გამო.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №31-32, 35, 37-42

ძალა აღმართს ველარ ხნავს!

პოლონეთის უშედეგო სამიტი

შუა თებერვალს ორი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა პოლონეთსა და გერმანიაში. ორივე ერთობ წარმომადგენლობითი იყო, რაც არ არის გასაკვირი. პირველი მიეძღვნა თემას: „მშვიდობა და უსაფრთხოება ახლო აღმოსავლეთს“, მეორე — ტრადიციული ყოველწლიური მიუნჰენის სამიტი იყო. ისიც დაახლოებით იგივე საკითხს იხილავდა. ორივე სამიტმა დიდი ყურადღება მიიქცია პოლიტიკური მსოფლიოსა და მედიის მხრიდან. ეს იყო და ეს.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ სამიტებმა ვერა და ვერ მიაღწიეს კონსენსუსს განხილულ საკითხებში, პირიქით — გამოავლინეს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები მსოფლიოსა და რეგიონის (ახლო აღმოსავლეთი) მშვიდობასთან დაკავშირებით. დასავლელ ექსპერტთა აზრით, განხეთქილების სათავე, რომელიც რუსეთშია, არ იძლევა მყარი მშვიდობის საფუძველს და ახალი კონფრონტაციის წარმოშობის საბაბი ხდება.

აღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმება რუსეთი და არა მარტო ის. მას სხვა ახსნა აქვს — ერთობ მნიშვნელოვანი და საყურადღებო, თუმცა ჯერჯერობით ვერ ახერხებს ამერიკა-ევროპის ყურადღების მიპყრობას მშვიდობასთან დაკავშირებულ რუსულ ხედვაზე.

დრო კი მიდის, თანაც შეიარაღების სწრაფი მარშით — ძველი ხელშეკრულებების დაწუნებით, ახალი იარაღით მშვიდობის „შენარჩუნების“ დევიზით. რუსეთი ცდილობს დღემდე არსებული სამხედრო პარიტეტის შენარჩუნებას, რაც მსოფლიო მშვიდობის ერთადერთი საშუალებაა.

რაც შეეხება დასავლეთს — ძალას არ იშურებს წინ გასაჭრელად, მოწინააღმდეგეზე სამხედრო უპირატესობის მოსაპოვებლად. მისი განმარტებით, ამას აკეთებს იმისთვის, რომ აღუდგეს რუსულ აგრესიას, ანუ როგორც აშშ-ის სახელმწიფო მდივანი პომპეო ამბობს: „რუსეთს ევროპაზე დომინირების და მსოფლიო არენაზე გავლენის განმტკიცების დიდი გეგმები აქვს. ვლადიმერ პუტინის მიზანია — ნატოს ალიანსის გახლეჩა, შეერთებული შტატების დასუსტება და დასავლური დემოკრატიების განადგურება. რუსეთის შეჭრა საქართველოსა და უკრაინაში, მისი თავდასხმა უკრაინულ გემებზე, წარმოადგენს პირდაპირ გამოწვევას ჩვენი უსაფრთხოებისა და ცხოვრებისთვის“.

პომპეოს სიტყვები არახალია. მანამდე სხვა პომპეოები, ანუ სხვა სახელმწიფო მდივნები აკეთებდნენ მსგავს განცხადებებს, პარალელურად აქტიურად მოქმედებდნენ ანტირუსული ქმედების გაძლიერება-გაფართოებისთვის.

პომპეოს სიტყვებიდან ჩვენთვის მთავარი „საქართველოში შემოჭრაა“. აგრესია, რამაც დაგვაკარგვინა ტერიტორიების 20%, ეკონომიკურად, სოციალურად, მორალურად წელში გაგვტეხა ისე, დღემდე რომ ვერ გამოვსულვართ ომის წყვდიადიდან. მსოფლიო იჯერებს პომპეოს ნათქვამს, რომელსაც შესაბამის ელფერს — ცხადია დამაჯერებელს, აძლევს დასავლური მედია.

არადა, ძალიან კარგი იქნებოდა პომპეოს ნათქვამში რომ „შემოჭრის“ საბაბი იყოს ნახსენები, რომ არა პომპეოს წინაპრების მიერ წაქეზებული ვიგინდარა, არაადეკვატური, მოღალატე სააკაშვილი — ცხინვალის ომს ადგილი არ ექნებოდა, ცხადია, არც „შემოჭრას“, არც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება „იღვაწებდა“ „პატრიოტულად“ დაკარგულის დაბრუნებისთვის ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის ზალკალიანის პომპეოსთან ხანმოკლე საუბრის დროს — ვარშავის სამიტის ფარგლებში.

გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ ამ შეხვედრის ინფორმაცია გამოაქვეყნა: “აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა აშშ-ს ურყევი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი და აღნიშნა, რომ აშშ ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს“.

ცხინვალის ომის დამთავრებიდან დღემდე გვესმის აშშ-ის სხვადასხვა ადმინისტრაციების დამამშვიდებელი სიტყვები. საქმეები კი არ ჩანს ან როგორ გამოჩნდება, ამერიკა ომს ხომ არ დაუწყებს რუსეთს საქართველოსთვის?

არათუ საქართველოსთვის, უკრაინისთვისაც არ დაიწყებს ომს. უფრო მეტიც — არც ნატოს წევრი რომელიმე სახელმწიფოსთვის (გავიხსენოთ თურქეთის მიერ რუსული სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდება და ბრიუსელისთვის თურქეთის მიმართვა დასახმარებლად). ბირთვული სახელმწიფოების ომი ნიშნავს მსოფლიო კატასტროფას და როდესაც სასწორზე ესოდენ სახიფათო რამაა, თავს არვინ გაწირავს.

* * *

ამავე გაზეთში გამოქვეყნებულია ინფორმაცია საქართველოში ტურისტების შემოსვლის და მათ მიერ დახარჯულ თანხებთან დაკავშირებით. გასულ წელს ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა 1,204,3 ათასი რუსეთიდან იყო, რაც მთლიანი ვიზიტორების 20.9% შეადგენს და წარმოადგენს 25.9%-იან ზრდას 2017 წელთან შედარებით. დავუმატოთ ამას რუსეთში მომუშავე საქართველოს მოქალაქეების მიერ გადმოგზავნილი თანხა, რომელიც რამდენჯერმე აღემატება სხვა ქვეყნებიდან გადმოგზავნილს და მივიღებთ შედეგს — ერთობ დასაფიქრებელს იმათთვის, ვინც გამუდმებით ლანძღავს რუსეთს. რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს საქართველოს ხელისუფალთა ვერბალური აგრესია და ცალმხრივი დაპირისპირება რუსეთთან? რუსეთმა რახანია გამოთქვა მზადყოფნა მოლაპარაკების გამართვისთვის — ჩვენ თავს ვიკავებთ.

როდემდე?!

ვარშავის სამიტის მთავარი საკითხი ანტიირანული კოალიციის შექმნა უნდა ყოფილიყო. ასეთი სურვილი ჰქონდა აშშ-ს, თუმცა ვერ განახორციელა — შეკრებილთა განსხვავებული აზრის გამო.

პრეზიდენტი ტრამპი და მისი ადმინისტრაცია რახანია ანტიირანულად მოქმედებენ, რაც არაერთხელ გამოვლინდა ორწლიანი მმართველობის დროს. მიზეზი მრავალია და მათ შორის ოჯახურიც. პრეზიდენტის სიძე კუშნერი ორთოდოქსი იუდეველია, ქალიშვილმა ივანკამ შეიცვალა რელიგია. ორივენი ანტიირანულად აზროვნებენ. თვით ამერიკელები ამბობენ, რომ აშშ-ს არასდროს ჰყოლია ისეთი პროისრაელური ადმინისტრაცია, როგორც დღეს.

ირანის ისლამური რესპუბლიკა, რომელიც რევოლუციის მე-40 წლისთავს ზეიმობს, კარდინალურად განსხვავდება ირანის შაჰის პოლიტიკისგან. 1979 წლამდე შაჰის ირანი აშშ-ის მოკავშირე და მარჯვენა ხელი იყო რეგიონში. დღეს ირანი აშშ-ის ნომერ პირველი მტერია, — ასე თვლის ოფიციალური ვაშინგტონი.

ეს მტრობა 1979 წლის თებერვლიდან იწყება და დღესაც გრძელდება. ირან-აშშ-ს შორის 40 წელია, გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობები. დაპირისპირება ცუდი კარდიოგრამის მსგავსად, ხან მაღლა იწევს, ხან ეცემა. დაპირისპირების შემცირება აღინიშნა აშშ-ის წინა პრეზიდენტის ობამას დროს. სწორედ მაშინ მოხდა შეთანხმება აშშ-ს, გაეროს 5 მუდმივი წევრისა და გერმანიის, ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან, რომლის მიხედვითაც ირანმა ითავა ურანის გამდიდრების 7%-მდე შემცირება, ხოლო დასავლეთმა — ირანის მიმართ შემოღებული ეკონომიკური სანქციების გაუქმება.

ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ აშშ გავიდა ხელშეკრულებიდან და აღადგინა ეკონომიკური სანქციები. აშშ თვლის, რომ ირანი სერიოზული კონკურენტია ახლო აღმოსავლეთში და აიძულებს მას შეზღუდოს თავისი გავლენა რეგიონში.

ამერიკა, რომელმაც ბოლო წლებში 7 ტრილიონი დოლარი დაახარჯა ახლო აღმოსავლეთს, ნაცვლად პოზიციების გამაგრებისა, საწინააღმდეგო შედეგი მიიღო. ერაყი, სირია, სხვა ქვეყნები ირანის მნიშვნელოვანი გავლენის არეალშია, რაც თავისთავად აიძულებს აშშ-ს, მიიღოს ანტიირანული გადაწყვეტილება.

სწორედ ამის მაგალითი იყო ვარშავაში 13-14 თებერვალს ჩატარებული შეკრება, რომელიც ერთ თვეში მოამზადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა. აშშ-ის სცენარით სპეკკონფერენციის მონაწილეებს უნდა მოესმინათ პომპეოსა და სხვა მაღალი რანგის ამერიკელთა ანტიირანული გამოსვლები და უყოყმანოდ დაეჭირათ მხარი მამამარჩენალისთვის.

ვაშინგტონის სურვილი არ განხორციელდა. პირიქით, გამოვლინდა წინააღმდეგობა, რასაც ადგილი აქვს რეგიონის ქვეყნებსა და აშშ-ს შორის. ჯერ ერთი, რუსეთმა, ლიბანმა, პალესტინამ უარი თქვეს კონფერენციაში მონაწილეობაზე. მთავარი „დამნაშავე“ — ირანი არ იყო ვარშავაში. საფრანგეთმა და გერმანიამ, რომლებიც წინააღმდეგი არიან 2015 წელს ირანთან დადებული ხელშეკრულების რევიზიის, ვარშავაში დაბალი რანგის დიპლომატები გააგზავნეს. საგარეო საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ფედერიკა მოგერინი თავიდანვე ნეგატიურად შეხვდა პომპეოს ინიციატივას და ყრილობაში მონაწილეობაზე უარი თქვა.

ვარშავის შეხვედრის მთავარი მიზანი — ირანის წინააღმდეგ ფართო ფრონტის შექმნა არ განხორციელდა. ვერც პომპეოს მოწოდებამ — დამსწრე ქვეყნებს შემოეღოთ ანტიირანული სანქციები, ფართო გასაქანი ვერ პოვა, ვინაიდან რუსეთის, ჩინეთის და ევროკავშირის თანხმობის გარეშე ამის გაკეთება შეუძლებელია. ვერც სამხედრო პრესმა მიიღო დიდი მხარდაჭერა, ვინაიდან მხოლოდ ისრაელისა და საუდის არაბეთის მხარდაჭერა საკმარისი არ არის.

ტრამპის ჩანაფიქრით, ანტიირანულ-არაბულ ალიანსში უნდა შეევიდნენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა იორდანია, ეგვიპტე, საუდის არაბეთი, ქუვეითი, ყატარი, ბაჰრეინი, ომანი, გაერთიანებული არაბული საამიროები. საეჭვოა, რომ მომავალი ალიანსის წევრები ერთსულოვანნი იყვნენ ირანთან ბრძოლაში, ვინაიდან მათ ერთმანეთთან აქვთ საკამათო საკითხები გადასაჭრელი.

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის პენსის და სახელმწიფო მდივნის პომპეოს ძალისხმევა ირანის წინააღმდეგ ფართო ფრონტის გაშლისთვის „მკვდრადშობილი“ გამოდგა. ასე ახსნა ირანის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ჯავად ზარიფმა ვარშავის შეკრების ჩაშლის მიზეზი.

როდესაც „დემოკრატიის“ აკვანი ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატები მოუწოდებს სხვა ქვეყნებს, შეკავშირდნენ ირანის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესებაში, რათა დამშეულმა ირანელებმა დაამხონ საკუთარი ხელისუფლება — აგრესიული ქმედებაა და მეტი არაფერი.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ტრამპისა და კიმ ჩენ ინის შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა

ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოიში დონალდ ტრამპსა და ჩრდილოეთ კორეის ლიდერს კიმ ჩენ ინს შორის შეხვედრა შეთანხმების გარეშე დასრულდა. ინფორმაციას თეთრი სახლის ადმინისტრაცია ავრცელებს.

„ვერავითარი შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, თუმცა მომლაპარაკებელი მხარეები იმედოვნებენ, რომ მომავალში გაგრძელდება ორმხრივი შეხვედრები“, — განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა სარა სანდერსმა.

სამიტის დაწყებამდე იყო გარკვეული მოლოდინები იმის შესახებ, რომ მხარეები მიაღწევდნენ შეთანხმებას და ჩრდილოეთ კორეა დათანხმდებოდა ქვეყნის დენუკლეარიზაციას. დონალდ ტრამპმა სამიტის პირველი დღის დასრულების შემდეგ, დიდი კმაყოფილებაც კი გამოთქვა შეხვედრით და მას დიდებული უწოდა.

აღსანიშნავია, რომ ტრამპისა და კიმ ჩენ ინის შეხვედრა მოსალოდნელზე ადრე დამთავრდა. დონალდ ტრამპისა და კიმ ჩენ ინის პირველი შეხვედრა 2018 წლის ივნისში სინგაპურში შედგა, სადაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ ჩრდილოეთ კორეა ბირთვული იარაღისგან გათავისუფლდება.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲣᲛᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ?!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, მაჩაბლის ქ. №13-ში, დღესაც დგას საუკუნეგამოვლილი შენობა, რომელსაც საკმაოდ ლამაზი აბრა ამშვენებს წარწერით: „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘ“. თუ სამადლოდ გადაგდებულ „ლუკმას“ — პრეზენტაციების ჩასატარებლად ნათხოვარ საკონფერენციო დარბაზს არ მივიღებთ მხედველობაში, შენობის სახელწოდება პირობითია — იქ ქართველ მწერლებს არაფერი ეკუთვნით! მეტიც, დღეს მწერალთა სახლად წოდებულ შენობას სულ სხვა დატვირთვა აქვს (ძვირადღირებული ბარი და სასტუმრო), ხოლო შენობაში შესვლისას ნებისმიერი კალმოსანი თავს დაუპატიჟებელ სტუმრად გრძნობს.

მაშ, რა საჭიროა აბრა, რომელიც ქუჩაში მოსიარულეს ილუზიას უქმნის, რომ ეს მწერალთა სახლია? იქნებ, ეს მხოლოდ ავანტიურისტული ჩანაფიქრის შესაფუთად სჭირდებათ?!

„ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘ“ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ!

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ“ დაიბეჭდა ჩემთვის პატივსაცემი პოეტის **ბაღათერ არაბულის** ინტერვიუ სათაურით: **„სამართლიანობის აღდგენა ქართულ მწერლობასაც უნდა შეეხოს“.**

მკითხველს თავიდანვე ვაუწყებ, რომ სამართლიანობის აღდგენაში სწორედ ქართველი მეცენატების **ხოშტარია-სარაჯიშვილის** მიერ მწერალთა გილდიისთვის ნაჩუქარი, მაჩაბლის ქ. №13-ში მდებარე მწერალთა სახლის მწერლებისთვის დაბრუნება იგულისხმება, რომელიც მათ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით წაართვა სააკაშვილის რეჟიმმა და არც **„ქართულმა ოცნებამ“** შეიწუხა თავი მისი დაბრუნებისთვის.

ბ-ნი ბაღათერი მწერალთა სახლის წართმევის მიზეზად (წინაპირობად) თვლის იმას, რომ ქართველი მწერლები პირდაპირ აკრიტიკებდნენ სააკაშვილის რეჟიმს, რაც მაშინ ზედმეტ სითამამედ ითვლებოდა და რეჟიმმაც არ აპატია: **„გამოგვყარეს იმის გამო, რომ ჩვენ პირდაპირ ვაკრიტიკებდით მის (სააკაშვილის — ზ.ნ.) ყოველ არასერიოზულ გამოსვლას, მის ავანტიურისტულ ომს!“**

მართალია, მე მაინცდამაინც არ მახსენდება ქართველი მწერლების მხრიდან „პირდაპირი კრიტიკა“ სააკაშვილის რეჟიმის მისამართით, მაგრამ, ეს არ არის მთავარი — **მთავარია, რომ ქართველმა მწერლებმა უბრძოლველად დათმეს მაშინ საკუთარი სახლი.**

როცა უბრძოლველად ვამბობ, ვგულისხმობ იმას, რომ მათ ვერ ააგორეს საპროტესტო ტალღა, ხმა ვერ მიაწვდინეს საერთაშორისო საზოგადოებას, ვერ აიყოლიეს ქართველი ხალხი და ვერ დაიცვეს ქართველი მწერლის ღირსება, რომელიც ნებისმიერ შემობაზე უფრო ძვირფასია ქართველი მკითხველისთვის!

მე ძალიან კარგად მახსოვს სააკაშვილის რეჟიმის სისასტიკე. ისიც კარგად მახსოვს, როგორ გამოყარეს ჟურნალისტთა კორპუსი „პრესის სახლიდან“ (გამომცემლობა „სამშობლო“), მაგრამ ვერაფრით ვერ ვიქნები ლოიალური (კოლეგიალური) იმ მწერლების მიმართ, რომლებმაც მწერალთა სახლის წართმევისთანავე შეწყვიტეს რეჟიმის კრიტიკა და ბედს შეურიგდნენ!!!

დიახ, არ მახსენდება მათი მხრიდან რეჟიმის ობიექტური, მიზანმიმართული კრიტიკა — სამწუხაროდ, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ რეჟიმის სისასტიკით შეშინებული მწერლები საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტნენ და ყოველგვარ პროტესტზე უარი განაცხადეს.

არადა, ქართული მწერლობა ყოველთვის იდგა თავისი მოწოდების სიმაღლეზე. იმ ავადსახსენებელი კომუნისტური ზეობის პერიოდშიც კი ახერხებდა დამდგარიყო საკუთარი ერის სადარაჯოზე (ვინც პირდაპირ ამხელდა კომუნისტურ რეჟიმს, მას ან იშორებდნენ, ან ციმბირში უკრავდნენ თავს „გამოსწორების“ მიზნით). სწორედ ამ სულისკვეთებით შეიქმნა მე-20 საუკუნის უნიკალური ქართული ლიტერატურა, სადაც ზოგადსაკაცობრიო იდეალებთან ერთად, ეროვნული სუნთქვაც ძალუმად იგრძნობა!

არაფერს ვამბობ კომუნისტური ეპოქის ქართული ლიტერატურის სიღრმეზე და სხვა პროფესიულ ღირსებებზე, რაც აშკარად აკლია თანამედროვე ქართულ მწერლობას.

ახლა ისევ ბატონ **ბაღათერ არაბულის** ინტერვიუს დავუბრუნდეთ. შეიძლება აგეტიროს, ან სრული უილაჯობის გრძნობა გაგიჩნდეს კაცს ამ სტრიქონების წაკითხვისას: **„დღეს, როცა ჩამოდიან ჩვენი კოლეგები (მწერალთა დელეგაციები), ქუჩაში ვხვდებით მათ, ან ვქირაობთ დარბაზებს ჩვენი მწირი შემოსავლებიდან... ჩვენ ერთი პატარა კუნჭულიც არ გვაქვს, რომ შევიკრიბოთ“.**

რაც არ უნდა საბაზრო ეკონომიკის პრინციპით გაამართლონ, **ფეხქვეშ მიწა უნდა ეწვოდეს იმ ხელისუფლებას, რომელმაც ასეთ დღეში ჩააყენა და იმასაც, ვინც არაფერი იღონა, რომ ასეთი სამარცხვინო მდგომარეობიდან გამოეყვანა უნიკალური ტრადიციების მქონე ქართული მწერლობა...**

მითუმეტეს, საუბარია არა სამადლოდ გადაგდებულ წყალობაზე, არამედ, უკანონოდ წართმეული საკუთარი შენობის კანონიერი მფლობელისთვის დაბრუნებაზე!

არა მგონია, პოსტსაბჭოთა სივრცეში ასეთი აგდებული დამოკიდებულება საკუთარი მწერალთა გილდიის მიმართ რომელიმე სხვა რესპუბლიკაში არსებობდეს. შორს რომ არ წავიდეთ, როგორც ბ-ნი ბაღათერი ამბობს, **„აზერბაიჯანში მწერლებისთვის არსებობს 1000 დოლარიანი სტიპენდია, ნაწილი 500 დოლარს იღებს, დამწყები — 300-ს. არსებული შენობა დაუმტკიცდათ. მწერალთა კავშირის 3 ჟურნალს აფინანსებს მთავრობა“.**

და სად ხდება ეს? მეზობელ აზერბაიჯანში, სადაც ფაქტიურად ერთპიროვნული დიქტატურის პირობებში უხდებათ ცხოვრება. ნურავინ შემეკამათება, რომ აზერბაიჯანი ჩვენზე უფრო მდიდარი ქვეყანაა და მას ამის გაკეთება არ უჭირს — **აქ იმდენად ფინანსურ ინიექციებზე არ არის საუბარი, რამდენადაც მწერლობისადმი (ლიტერატურისადმი) სახელმწიფოს დამოკიდებულებაზე.**

შეიძლება, ვინმე შემეკამათოს, რომ „ნაციონალური“ რეჟიმის პირობებში ნებისმიერი კრიტიკა, უსამართლობის წინააღმდეგ „გამოხტომა“ სისხლში იხშობოდა. არც უმაგისობა იყო, მაგრამ მწერალს, რიგითი მოქალაქისგან განსხვავებით, ბარიკადებზე დგომის არ უნდა შეეშინდეს!

„ნაციონალების“ სისხლიანი რეჟიმი სისხლიან რეჟიმად, მაგრამ, ხომ მოვიდა თავისუფლებისა და „გასაოცარი ქართული დემოკრატიის“ ლოზუნგით ახალი ხელისუფლება? რატომ არ დადგა ფეხზე ქართული მწერლობა და რატომ არ მოითხოვა საკუთარი შენობის დაბრუნება?! რატომ არ ჩამოკრა განგაშის ზარი და არ აუწყა საზოგადოებას, რომ „ახალიც“ ყოველივე ქართულს, ტრადიციულ სულიერ ღირებულებებს ისევე ექცევა, როგორც მისი წინამორბედი?!

აბა იმის წარამარა ძახილი, რომ სააკაშვილის რეჟიმმა მწერლებს შენობა წაართვა და ესენიც არ გვიბრუნებენ, პრობლემას ნამდვილად ვერ გადაწყვეტს!

ჩემთვის პირადად მძიმედ წასაკითხი იყო ბატონი ბაღათერის სიტყვები, რომ: **„ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები ბედის ანაბარად არიან მიტოვებული. არადა, ქართული მწერლობის, ქართული კულტურის, სულიერების განვითარების გარეშე ქვეყანა ვერ განვითარდება“.**

დასტურ, ბატონო ბაღათერ!

გულწრფელად გული მეტკინა ამ სტრიქონების წაკითხვისას. მეც ვიცი, რომ ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები უპატრონოდ არიან მიგდებული, ისიც კარგად მესმის, რომ მწერლობისა და ზოგადად კულტურის განვითარების გარეშე ქვეყანა ვერ განვითარდება, მაგრამ... **დღევანდელ რეალობაში ჩვენ იმის იმედი ნუ გვექნება, რომ ვინმე (ამ შემთხვევაში არსებული ხელისუფლება) გვიპატრონებს. არც უნდა ვეძებოთ პატრონი იქ, სადაც ის არ არის. ჩვენს თავს (მეც ვარ მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი) ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ: ვაიძულოთ ხელისუფლება, მოგვექცეს ისე, როგორც უნდა მოგვექცეს — უპირველესად, დააბრუნოს ძალით წართმეული შენობა, სადაც ქართველი კორიფეების სული ტრიალებს! შემდეგ კი აზერბაიჯანელი კოლეგებისგან მიიღოს კონსულტაცია და ქართველი მწერლები წაახალისოს, რომ მათ ელემენტარულად არსებობა და შემოქმედებითი საქმიანობა შეძლონ.**

ის, რომ საქართველოს კულტურის სამინისტრო საკუთარი შეხედულებით აფინანსებს (რაც ზღვაში წვეთია) თანამედროვე მწერალთა (ისიც სასაცილო ტირაჟით) კრებულებს და ე.წ. უაზრო ლიტერატურულ კონკურს-პროექტებს, არ ნიშნავს იმას, რომ ქართული მწერლობის განვითარებაზე ვინმე ზრუნავს და ფიქრობს. ეს მხოლოდ „ფასადის“ შესალამაზებლად კეთდება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ხშირად მდარე და საეჭვო სულიერი ღირებულებების ავტორები არიან კულტურის სამინისტროს ყურადღებით განებივრებულნი, ვიდრე, მწერლობასთან ახლოს მდგომი ადამიანები. ამჯერად სახელისა და გვარის დასახელებისგან თავს შევიკავებ — ისედაც ყველამ ყველაფერი იცის!

ის, რომ მწერალთა სახლი ქართველ მწერალთა გილდიას უნდა დაუბრუნდეს, საკამათო არ არის. თუმცა, არც ის არის საკამათო, რომ ამას დღევანდელი ხელისუფლება თანმიმდევრული ბრძოლის გარეშე ხონჩით არ მოგვართმევს!

ახლა კი მივადექით ერთ მტკივნეულ საკითხს, რომელშიც ხელისუფლების ბრალი ყველაზე ნაკლებია. მოვუსმინოთ ბატონ ბაღათერს:

„დღეს მწერალთა კავშირის წევრს უბრალოდ წიგნაკი აქვს, თორემ ჩვენ ვერაფერში ვეხმარებით“.

მე ნაკლებად მაინტერესებს, ვინ რამდენად დამსახურებულად მიიღო ეს „წიგნაკი“ და ასევე რამდენად დამსახურებულად ჩაეწერა ქართველ მწერალთა გაერთიანებაში, მაგრამ, ლოგიკურად ისმება კითხვა: **რატომ არ ერთიანდებიან ეს „წიგნაკიანები“, რომ დაიბრუნონ უკანონოდ წართმეული შენობა?** რამდენადაც ვიცი, დღეს მათი რაოდენობა ათასს აჭარბებს. წარმოვიდგინოთ, თითოეულ მათგანს ჰყავს 10 მკითხველი (გულშემატკივარი) მაინც, რაც მთლიანობაში მინიმუმ ათი ათასზე მეტია. **ადგეს ერთ მშვენიერ დღეს ეს 10000 კაცი, მიადგეს საქართველოს მთავრობას და მოითხოვოს კუნთვნილი შენობის დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთაშორისო რეზონანსის აგორებით და პერმანენტული აქციებით დაემუქროს.**

როგორ ფიქრობთ, მწერალთა მიერ სამართლიანად აგორებულ ტალღას რეზონანსი (შედეგი) არ მოჰყვება?

რა თქმა უნდა, მოჰყვება, მაგრამ ამას ხომ ტვინის და ხელის განძრევა სჭირდება, რომელიც თანამედროვე ქართველი მწერლებისთვის, როგორც ჩანს, უცხო ხილია!

აბა, ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია?!

ბატონი ბაღათერი წუხს, რომ შარშან ლიბერალური აზროვნების მწერლები წაიყვანეს ფრანკფურტში წიგნის ბაზრობაზე. პირადად ჩემთვის ეს არ არის გასაკვირი. **სიმპტომატური მხოლოდ ის არის, რომ მთავრობა (ამ შემთხვევაში კულტურის სამინისტრო) ანგარიშს არ უწევს საქართველოს მწერალთა კავშირს და წიგნის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე წასაყვანთა ჯგუფს საკუთარი გემოვნებით აკომპლექტებს.**

სიტყვა „ანგარიშს არ უწევს“ შემთხვევით არ მითქვამს — ანგარიში რომ გაგიწიონ, შენში ძალა უნდა დაინახონ. დღევანდელი მწერალთა შემოქმედებითი კავშირი კი ნამდვილად არ არის ის ძალა, რომელსაც საქართველოს მთავრობა ოდესმე ანგარიშს გაუწევს. თუმცა, ამაზე ქვემოთ.

ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲕᲑᲔᲠᲝᲗ!

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ მწერლობაზე და, ზოგადად, ლიტერატურულ პროცესზე ადრეც მიფიქრია. სტატიაში **„სად იმალება ქართული მწერლობა“** („ივერიონი“ 30.06.2015 წ., შეტანილია პუბლიცისტურ კრებულში: **„სამართებლის პირზე“**) ვწერდი:

„საკუთარი თავი დამნაშავე მგონია, როცა ვხედავ, როგორ ჩაურგვია თავი ქართულ სიტყვას ქვიშაში და ამაზე აქამდე ხმას არ ვიღებდი... თავისუფალი სიტყვა დღეს ყველაფერს ეგუება — დამცირებასაც, შოლტის მოქნევასაც, უზნეობის პროპაგანდასაც...

ქართული სიტყვა ქართული იდენტობის, ქართული ტრადიციების სადარაჯოზე უნდა იდგეს და მეწინავე დროშას აფრიალდებდეს.

მისი ხმა სრულიად საქართველოს უნდა აზანზარებდეს და ყველა უკეთურობაზე ხელის მომწერ ხელისუფლებას შიშის ზარს უნდა სცემდეს.

სად გაქრა ჭეშმარიტი ქართული სიტყვა?!“.

ზემოთ ვთქვი, ყველაფერს ხელისუფლებას ნუ დავაბრალებთ-მეთქი. უნდა ვაღიაროთ, რომ **დღეს ქართული მწერლობა არც მეწინავე დროშას აფრიალებს და არც ყველა უკეთურობაზე ხელის მომწერ ხელისუფლებას სცემს შიშის ზარს, მისი „საყვირის“ ხმა კი საპრეზენტაციო დარბაზებს არ სცილდება, რომელიც ძირითადად შოუს ელემენტებითაა გაჯერებული და არაფერი აქვს საერთო წმინდა ლიტერატურული პროცესების განხილვა-გააზრებასთან.**

ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ **ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას (იგულისხმება როგორც პროზა, ასევე პოეზია) სული გამოაცალეს და შიშველი (უაზრო) ამბიციების ამარა დატოვეს!** თუ იშვიათ გამონაკლისებს არ მივიღებთ მხედველობაში, თანამედროვე ქართული მწერლობა „მაკულატურად“ იქცა.

დიახ, თუ ადრე წიგნის გამოცემა და გემოვნებიან მკითხველთან შეხვედრა სერიოზულ სიძნელეს აწყდებოდა (თუმცა, ხარისხი თითქმის გარანტირებული იყო), დღეს ვისაც არ ეზარება, ყველას კალამი (მაპატიეთ, კომპიუტერის კლავიში) უჭირავს ხელში და აცხობს და აცხობს წიგნებს ბრჭყვიალა ყდებითა და მაინტრიგებელი სათაურებით. შიგნით კი...

თუ ობიექტურად შევაფასებთ, ლიტერატურული კრიტიკის დაკარგვასთან ერთად დაიკარგა გემოვნებიანი (კრიტიკულად განწყობილი) მკითხველიც, რომელიც მწერლის სისუსტისა თუ ოსტატობის ბარომეტრი იყო...

ᲘᲮ. 11 ᲒᲒ.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

სერია ფრანგებთან

უმცროსი „ბორჯღალოსნები“ 6 და 10 მარტს საფრანგეთის 20-წლამდელთა განვითარებად ნაკრებს „ავჭალის“ სტადიონზე ორმატჩა სპარინგ-სერიაში უმასპინძლებენ.

ილია მაისურაძის, ლადო კილასონიასა და ზურაბ ამონაშვილის შეგირდები მომავალი შეხვედრებისთვის შეკრებაზე გუშინ შევიდნენ და ვარჯიშებს „ავჭალაზე“ მართავენ. რიგით მეოთხე შეკრებაზე თბილისში ფრანგულ კლუბებში მოთამაშე ლეგიონერებიც ჩამოვიდნენ და მწვრთნელებსაც თითქმის ყველა კანდიდატის საქმეში ხილვის შესაძლებლობა ექნებათ. გამონაკლისი არიან კვაჭი ვანო კარკაძე და მგეზავი თედო აბჟანდაძე, რომლებიც ეროვნულ ნაკრებთან ერთად რაგბი ევროპის ჩემპიონატის თამაშებისთვის ემზადებიან.

„აქამდე გამართულ შეკრებებს შორის ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან საფრანგეთიდან მოთამაშეთა დიდი ნაწილი ჩამოდის. მხოლოდ კარკაძე და აბჟანდაძე დაგვაკლდებიან, რომლებიც ეროვნულ გუნდთან ერთად ვარჯიშობენ. ამასთანავე, გავმართავთ ორ ყველაზე მნიშვნელოვან ტესტს სამხრეთ აფრიკაში გამგზავრებამდე, რადგან მეტოქედ საფრანგეთის მეორე ნაკრები გვეყოლება. სწორედ ამ შეკრებისა და ტესტების შემდეგ შევარჩევთ იმ მორაგბეებს, რომლებითაც სამხრეთ აფრიკაში გავემგზავრებით“, — ამბობს უმცროს „ბორჯღალოსანთა“ მწვრთნელი ლადო კილასონია.

4-22 ივნისს არგენტინაში გასამართ 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატამდე უმცროსი „ბორჯღალოსნები“ სამხრეთ აფრიკაში, შარშანდელის მსგავსად, წელსაც ტურნეში მიემგზავრებიან, ახლა კი შეკრებაზე 40 მოთამაშეა, რომლებმაც ვარჯიშებზე უნდა წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები, რათა ფრანგების წინააღმდეგ თამაშის შანსი დაიმსახურონ, ხოლო ამ თამაშებით სამხრეთაფრიკულ ტურნეზე გამგზავრების შანსი მიიღონ: **„ჩვენ სურვილი გვაქვს, რომ ყველა მორაგბე ვათამაშოთ, მაგრამ მათ ჯერ ვარჯიშებზე დავაკვირდებით და ვნახავთ, ვის რა შეუძლია. სწორედ ვარჯიშების მიხედვით გადავწყვეტთ, ვინ მიიღებს მეტ სათამაშო დროს და ვინ ნაკლებს. ლეგიონერები ამ მოსამზადებელ ციკლში ჩვენთან პირველად არიან, თუმცა, მათი ნაწილი 20-წლამდელთა შეკრებაზე შარშანაც იყო, ასევე გვაქვს ინფორმაცია კლუბებიდან და ვიდეოჩანაწერებიდან“,** — ამბობს კილასონია.

ფრანგ 20-წლამდელებს შარშანაც ვეთამაშეთ, როდესაც ჩვენი გუნდი მოსამზადებელ შეკრებაზე „მარკუსიზე“ გაემგზავრა. პირველი მატჩის მიწურულს მასპინძლებმა კონტრშეტევა ლელოთი დაასრულეს და 24:19 იმარჯვეს, ხოლო მეორე შეხვედრაში რევანშში შედგა და საქართველომ მეტოქეს 14:0 სძლია. კილასონია ვარაუდობს, რომ წელს ფრანგები უფრო ძლიერი შემადგენლობით გვეწვევიან:

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ამ დონის გუნდი ჩამოდის. შარშან ჩვენ „მარკუსიში“ ვიყავით, სადაც ფრანგებმა მეორე გუნდი დაგვახვედრეს და მეორე თამაში მოვიგეთ. ფრანგებს არ უყვართ, როცა მათ ვინმე უგებს, განსაკუთრებით მათსავე მოედანზე და, ვფიქრობ, წელს ბევრად უფრო ძლიერი გუნდით ჩამოვლენ. ეს იქნება ის თამაშები, რომლებიც ნათლად დაგვანახებს, სად ვართ და სად გვაქვს მეტი სამუშაო. ჩვენი მიზანია, რომ მოთამაშეებმა 20-წლამდელთა დონეზე საერთაშორისო გამოცდილება მიიღონ, დავხვეწოთ ჩვენი თამაში და სამხრეთაფრიკულ ტურნეზე მომზადებულები გავემგზავროთ“.

თამაშების დაწყების დრო მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც ფრანგები თბილისს ეწვევიან და ამის შესახებ მოგვიანებით გაცნობებთ. ერთი რამის თქმა ახლავე შეიძლება — 10 მარტის შეხვედრა ქუთაისში საქართველოსა და გერმანიის ნაკრებებს შორის რაგბი ევროპის გასამართ მატჩს არ დაემთხვევა.

შეკრებაზე არიან:

შერკინება:

ნიკა ღვალაძე (გრენობლი, 1), გიორგი ახალაძე (მასი, 1), ლუკა ჭელიძე (ტულონი, 1), გიორგი მენაბდე (ბათუმი, 2), საბა კურატაშვილი (არმაზი, 2), ლუკა ნიორაძე (ჯიქი, 2), გია ხარაიშვილი (რასინგ 92, 3), ზაურ თევდორაშვილი (ანგულემი, 3), ლუკა აზარიაშვილი (მონპელიე, 3), ვლადიმერ ჩაჩანიძე (ლელო, 4-5), ლუკა გელაშვილი (რუსთავი, 4-5), ვახტანგ ჯინჭარაძე (ჯიქი, 4-5), დავით გვიდიანი (არმაზი, 4-5), ლუკა გელაშვილი (არმია, 4-5), გიორგი ნოდია (ყოჩები, 6-7), იოსებ გუშარაშვილი (ყოჩები, 6-7), პაატა ბურჭულაძე (რუსთავი, 6-7), მიხეილ ჩაჩავა (ჯიქი, 6-7), ბექა ყორიაული (ლელო, 6-7), კობა კოლოტაური (ლელო, 6-7), საბა ჯღარკავა (ლელო, 6-7), იოანე იაშაღაშვილი (არმაზი, 6-7, 8), გიგი ლეშკაშელი (აია, 8).

ხაზი:

მიხეილ ალანია (არმაზი, 9), გიორგი მარგალიტაძე (ლელო, 9), ლუკა მანტკავა (არმაზი, 9), რევაზ ხარაზიშვილი (იუნკერები, 10), დავით გობეჯიშვილი (აია, 10-15), სანდრო მარგიანი (აკადემია, 10), ლაშა ლომიძე (აია, 12), ირაკლი სიმსივე (აია, 12-13), დემურ თაფლაძე (ლელო, 13-14), ზაურ ლუტიძე (ხვამლი, 13), ოთარ ლაშხი (ლელო, 11-14), არჩილ ღონღაძე (აია, 11-14), ზურაბ ქავთარაძე (რუსთავი, 11-14), კოტე მარჯანიშვილი (არმაზი, 11-14), ოთარ ძაგნიძე (აია, 11-14), გიორგი მიქანაძე (აკადემია, 15), თეიმურაზ ჭიჭინაძე (ჯიქი, 11-15).

კობა კობახიძე

◎ „ელ კლასიკო“

„ბარსელონას“ 100 გოლი

ოთხშაბათ საღამოს „სანტიაგო ბერნაბეუზე“, ესპანეთის სამეფო თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩი, „ბარსელონამ“ მადრიდის „რეალს“ 3:0 მოუგო და ჯამში სასეზონო გოლების რაოდენობა 100-მდე გაზარდა.

საინტერესოა, რომ „ლევანტესთან“ ერთად, „ბარსამ“ წლეულს ყველაზე მეტი გოლი (9 სამ თამაშში) სწორედ მოსისხლე მტერს გაუტანა. ამ ასიდან ყველაზე მეტი ლიონელ მესის ანგარიშზეა — 33. „ბარსელონა“ კი ამ სეზონში მესამე კლუბია ევროპაში, „მანჩესტერ სიტისა“ და „პარი სენ-ჟერმენის“ შემდეგ, რომელმაც 100-გოლიან ზღვარს უწია. ამისათვის კატალონიელებს 41 შეხვედრის გამართვა დასჭირდათ.

60 ბურთი „ბარსამ“ „კამპ ნოუზე“ გაიტანა, 38 — სტუმრად და ორიც — ნეიტრალურ მინდორზე, — გვამცნობს კატალონიური კლუბის ოფიციალური ვებგვერდი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ოლიმპიზმი

არა სიგარეტს

ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიური და პარალიმპური თამაშების არენები, აგრეთვე ყველა მათი მიმდებარე ტერიტორია, შესაძლოა, სიგარეტისგან თავისუფალ ზონებად გამოცხადდეს.

ტოკიო-2020-ის ორგანიზატორთა თავდაპირველი ჩანაფიქრით განიხილებოდა, რომ სიგარეტის მოწევა აკრძალულიყო იმ შენობა-ნაგებობებში, რომლებიც ასპარეზობებისთვის არის განკუთვნილი, მაგრამ გარკვეულ ადგილებში ნებადართული ყოფილიყო მაყურებლისთვის და მომსახურე პერსონალისთვის.

იაპონელები ახლა მზად არიან, მოწევა აიკრძალოს საშეჯიბრო არენების მიღმაც. თუ ასე მოხდა, გადაწვეტილება შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტისა (IOC) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პოლიტიკასთან.

აღსანიშნავია, რომ ორივე ორგანიზაცია ოლიმპიური თამაშების თამბაქოსგან გათავისუფლებისკენ ისწრაფვის.

ამასთან, ტოკიო-2020 მოსაწევი ადგილების გამოყოფას განიხილავს ოლიმპიურ და პარალიმპურ სოფლებში, ანუ იქ, სადაც ოლიმპიელები დაიდებენ ბინას.

ოფიციალური პირების განცხადებით, მოსაწევი ადგილები დაშვებული იყო ლონდონის 2012 და რიოს 2016 წლის თამაშებისას. სიგარეტისგან თავისუფალ ზონებად გამოცხადების შემთხვევაში ტოკიოს ოლიმპიური თამაშები გახდება პირველი ზაფხულის თამაშები, სადაც სიგარეტის მოწევა საშეჯიბრო არენების მიმდებარედაც სრულად აიკრძალება.

პიონჩანგის ზამთრის თამაშებზე ამგვარი აკრძალვა ვრცელდებოდა საშეჯიბრო არენებზე. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ტოკიო-2020 კონსულტაციებს გაივლის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

მანუჩარ გიორგაძე

◎ სანთელი

მამუკა ფანცულაია

ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ ყოფილი მოთამაშე მამუკა ფანცულაია 52 წლის ასაკში გარდაიცვალა.

იგი 80-იანი წლების თბილისის „დინამოს “ ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული თავდამსხმელი გახლდათ. 1985 წელს, საბჭოთა კავშირის 18-წლამდელების შემადგენლობაში, ევროპის ჩემპიონატის ფინალში დუბლი შეასრულა და ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზი გადაეცა. ის დღემდე ერთადერთი ქართველია, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. სულ საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებში ჩატარებულ 17 შეხვედრაში 8 გოლი გაიტანა. 1987 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლეებში ლიდერობდა, ხოლო 1990 წელს, (გია გურულთან ერთად) 23 გატანილი ბურთით ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა. არის 1990 წლის 27 მაისის ისტორიული მატჩის მონაწილე — ამ დღეს დამოუკიდებელი საქართველოს ნაკრებმა თავისი არსებობის ისტორიაში პირველი თამაში ლიტვასთან ჩაატარა. წლების განმავლობაში მამუკა ფანცულაია საფეხბურთო აკადემია „ოლიმპის“ მწვრთნელი გახლდათ — საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი თორნიკე ოქრიაშვილი მისი აღზრდილია. ნათელი და სანთელი, ოსტატო!

გიორგი შოთაძე

◎ ქაღალდზე მეოცნებეთა დრო წავიდა!

რატომ დუმს ქართული მწერლობა?!

(მეცხრე გვერდიდან) სამწუხაროდ, დღეს ქართულ ლიტერატურას არ ჰყავს ჭეშმარიტი შემფასებელი - ქართული ბაზარი გაჯერებულია უგემოვნო, უიდეო ლიტერატურით. რაც დრო გადის, ეს პროცესი უფრო და უფრო მძიმდება და მანამ გაგრძელდება, ვიდრე დღეს არსებული მწერალთა შემოქმედებითი კავშირის სრული ტრანსფორმაცია (ახალი სულის ჩაბერვა) არ მოხდება და მის ბაზაზე არ ჩამოყალიბდება ქართველ მწერალთა ახალი, წმინდა პროფესიული გაერთიანება, რომელიც უკანონოდ წართმეული შენობის დაბრუნებაზეც იზრუნებს, საკუთარი წევრების პროფესიულ ინტერესებსაც დაიცავს და პასუხისმგებელი იქნება ქართული ლიტერატურის განვითარებაზე.

სამწუხარო ფაქტია, რომ ქართველ მწერალთა ერთობა (საუკუნეგამოტარებული ტრადიციული მწერალთა კავშირი) ისე დაშალეს და დაასუსტეს, რომ მტერს უხარია და მოყვარეს გულს უკლავს!

> მქონდა პატივი, დავსწრებოდი საქართველოს მწერალთა ბოლო ყრილობას. **ეს იყო არაკოლეგიალობის, ერთმანეთისადმი უპატივცემულობის, ხელოვნურად დაპირისპირებული ორი ჯგუფის („მწერალთა კავშირი“ და „მწერალთა აკადემია“) უშეღავათო შეხლა-შემოხლა „აკრძალული ილეთების“ თანხლებით, რომელმაც სრულ უძრაობაში გადაიყვანა ისედაც გახლეჩილი ქართველ მწერალთა გაერთიანება.**
>
> **თუ ობიექტურად განვსჯით, ეს იყო ციხის შიგნიდან გატეხვის უნიკალური მაგალითი. მავანმა მიზანს მიაღწია!**

აქედან გამომდინარე, მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრთა რაოდენობის (მარტივად თუ ვიტყვით, „წიგნაკშიკების“) ზრდა კი არ არის მთავარი, მთავარი ხარისხია.

სწორედ ამ ფორმალურმა გატაცებებმა მიიყვანა საქართველოს მწერალთა გილდია დღევანდელ მდგომარეობამდე, რომლის საჯარო სივრცეში აღიარება გვიჭირს (კულუარებში რამდენიც გინდათ)!

მე კონფრონტაციის მომხრე არასდროს ვყოფილვარ და არც ახლა ვიქნები, მაგრამ არსებული ფორმით მწერალთა შემოქმედებითი კავშირის შენარჩუნება რომ ხეირს არ მოგვიტანს, საკამათოდ არ მეჩვენება!

აქედან გამომდინარე, საჭიროა შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი, რომელიც მწერალთა ახალი ყრილობის მომზადებაზე იმუშავებს. მომზადებაში იგულისხმება არსებულის ბაზაზე მწერალთა შემოქმედებითი კავშირის (პირობითად, „ქართველ მწერალთა გილდიის“) ახალი დებულების განსაზღვრა და ახალი კრიტერიუმების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ჭეშმარიტად პროფესიული ორგანიზაციის (მწერალთა ერთობის) ფორმირებას.

თუ ეს ნაბიჯი გადაიდგა, დარწმუნებული ვარ, მწერალთა კავშირის კუთვნილ შენობასაც (დღევანდელი „მწერალთა სახლი“), ადვილად დავიბრუნებთ და ძარღვიანი ქართული სიტყვისადმი პასუხისმგებლობაც ერთი-ორად გაიზრდება!

ზაურ ნაჭყებია
ტელ: 599-56-14-57

P. S.

საკმაოდ ადამიანური და საქმიანი ურთიერთობა მაქვს „მწერალთა სახლის“ დღევანდელ დირექტორთან, ქ-ნ ნატა ლომოურთან, მაგრამ, ეს არ მიშლის ხელს, უმწვავეს პრობლემას გვერდი ავუარო. რაც მოხდა და რაც დღეს „მწერალთა სახლში“ ხდება, მისი ბრალი ნამდვილად არ არის — ეს, უხეირო ხელისუფლებებთან ერთად, ქართველი მწერლების ბრალიცაა. ახლა მაინც უნდა გამოვფხიზლდეთ და ჩვენი გასაკეთებელი ჩვენვე გავაკეთოთ.

ზ. ნ.

სანთელი

უახლოესი მეგობრები და კოლეგები ბაკურ გულუა, ოთარ ჭითანავა, გივი აბზიანიძე, ნოდარ ჭითანავა, გურამ გუნავა, ვალერი ჭანტურია, რაული ჯახია, მირზა ქორქაშვილი, გურამ თოდუა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე

გერონტი (ჯუკა) კუხალეიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს გულიკოს, შვილებს ლელა და გიგი კუხალეიშვილებს.

ვენაში გაუჩინარებულ ქართველ სტუდენტს ეძებენ

ვენაში ქართველ სტუდენტს მეოთხე დღეა უშედეგოდ ეძებენ. მეგობრის ინფორმაციით, ანრი ლომიძე მას შემდეგ გაუჩინარდა, რაც ორ უკრაინელ სტუდენტთან კონფლიქტი მოუვიდა. როგორც ირკვევა, ქართველ სტუდენტს ბინა სწორედ მათთან ერთად ჰქონდა ნაქირავები. კონფლიქტის შემდეგ ანრი ლომიძემ საცხოვრებელი სახლი დატოვა და მას შემდეგ ის არავის უნახავს. ლომიძე ორი წელია ვენაში ცხოვრობს. ახალგაზრდას ავსტრიის პოლიცია და საქართველოს საელჩო ეძებს.

„როგორც ვიცით რაღაც შეკამათება მოსვლია, ტანსაცმელი წამოუღია და გარეთ გამოსულა, ეს მოხდა კვირას. კვირა დღესვე ერთ სტუდენტურ საცხოვრებელში თავისი მეგობრები ეგულებოდა და უძახდა ზემოთ სახელებს, ვიღაცას გამოუხედავს და უთქვამს, რომ სახლში არ არის ის, ვისაც ეძებო. ამის შემდეგ ჩამოსულა ის ადამიანი ქვემოთ და უნახავს მანქანაზე იდო მხოლოდ ყურსასმენები და მეტი არაფერიო. ეს არის ის, რაც ვიცით, ამის შემდეგ არის გაუჩინარებული“, — აცხადებს ანრი ლომიძის მეგობარი.

◎ ჩვენ და ჩვენი ასაკი

დნმ-საათი - ჩვენი ახალგაზრდობის დროის ამთვლელი...

მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მკვლევარ-გენეტიკოსი, კალიფორნიის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის პროფესორი **სტივ ჰოვარტი**, ცნობილი დნმ-საათის ერთ-ერთი შემქმნელი, **რომლის მეშვეობით მკვლევარები ადგენენ, თუ რა სიჩქარით კარგავენ ადამიანები ახალგაზრდობას, უახლესი გამოკვლევების შესახებ საუბრობს, რომელთა შედეგად შესაძლებელია კაცის ღრმა ხანდაზმულობამდე სიცოცხლის შანსების შეფასება და ნაადრევი დაბერების რისკების პროგნოზის შედგენა.**

ეგრეთ წოდებული „ლათინოამერიკული პარადოქსი“ იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ მექსიკელებს რომ სინჯავენ, ექიმები გაოცებას ვერ ფარავენ: მათ სისხლში კატასტროფულად ბევრი მავნე ქოლესტერინი და შაქარია, მაღალია ანთების დონე და, აქედან გამომდინარე, ყველა სამედიცინო მონაცემით, ეს ხალხი საშუალოსტატისტიკურ მოსახლეობაზე გაცილებით ადრე უნდა კვდებოდეს, მაგრამ მათი უმრავლესობა გაცილებით დიდხანს — საშუალოდ 3-4 წლით მეტს ცოცხლობს!

2013 წელს, პროფესორმა ჰოვარტმა ეგრეთ წოდებულ ეპიგენეტიკური საათის შესახებ სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ **აღწერილი მეთოდი, ყველა სხვა ანალოგიურთან შედარებით, გაცილებით ზუსტია, რომლის გამოყენებით შეიძლება თავის ტვინის, გულის, ღვიძლის, ასევე სხვა ორგანოებისა და, ზოგადად, თავად ადამიანის ბიოლოგიური ასაკის დადგენა.** ამასთან, ეს ასაკი შესაძლოა, სულაც არ ემთხვეოდეს პასპორტისას. თუკი მოლეკულური საათი გარბის, ადამიანები ბერდებიან და, სამწუხაროდ, უფრო მალე კვდებიან. მაგრამ ისეც ხდება, რომ ბიოსაათი კალენდარულს ჩამორჩება, მაშინ კაცს წლების მანძილზე არც ასაკი ეტყობა და კარგი შანსები აქვს ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლოს. ასეა ლათინოამერიკელების შემთხვევაშიც, რომლებიც როგორც აღმოჩნდა, თავიანთ ქრონოლოგიურ ასაკზე ახალგაზრდები არიან და ევროპელებზე მეტხანს იმის მიუხედავად ცოცხლობენ, რომ ცხოვრება უარეს კლიმატურ პირობებში უწევთ.

მაინც რატომაა, რომ ამ ხალხის „დაბერების საათი“ ჩამორჩება? არის მოსაზრება, რომ ეს უფრო მტკიცე იმუნური სისტემის წყალობით ხდება, მაგრამ თუ რა მიზეზით ინარჩუნებს ის ასეთ მდგრადობას, ჯერჯერობით უცნობია.

დნმ-საათის მუშაობის პროცესის ახსნა ასე შეიძლება: ისევე, როგორც დროთა განმავლობაში ნებისმიერი მანქანა იჟანგება, ასევეა დნმ-ს მოლეკულაც — მის გარკვეულ უბნებზე ჟანგის მსგავსი ქიმიური შენაერთები ილექება. ისინი გენების მუშაობას ცვლიან, რასაც დნმ-ს მეტილირება ეწოდება. ამდენად, **„ჟანგის“, ანუ მეტილური ჯგუფების ოდენობისა და ადგილმდებარეობის დადგენით შეიძლება ადამიანის ბიოლოგიური ასაკის დადგენა.**

ამასთან, არის ერთი ნიუანსი: ჟანგთან შედარება „არ მუშაობს“, როცა საქმე ბავშვების მოლეკულურ საათებს ეხება. 21 წლამდე, ვიდრე ჩვენი ორგანიზმი იზრდება, ეს უფროსების მსგავსი „დაბერების საათი“ კი არ იქნება, არამედ „განვითარებისა“. თანაც, იმის მიუხედავად, რომ ბავშვურ ასაკში მოლეკულური საათი გაცილებით წინ გარბის, ამას უარყოფითი თვისება არა აქვს, რადგან ადამიანი ვითარდება და არ ბერდება. დაახლოებით 21 წლის ასაკში საათი სვლას ანელებს და შემდეგ, თუკი ადამიანი მეტ-ნაკლებად ჯანმრთელია და დაბერების პროცესის დამაჩქარებელი ფაქტორები არ არსებობს, მაშინ დარჩენილი ცხოვრების მანძილზე ჩვენი მოლეკულური საათი თანაბრად, ერთი და იგივე სიჩქარით მიდის.

თუმცა ისიცაა, რომ დანამდვილებით იმის თქმა, ორგანიზმის დაბერების პროცესი 21 წლის მიღწევის შემდეგ იწყება, არ შეიძლება. დაბერება — ესაა უაღრესად რთული პროცესი და არსებობს აუარება თეორია იმის თაობაზე, თუ რა უნდა ჩაითვალოს დაბერებად სინამდვილეში. მაგრამ, **არსებული მონაცემებით, 20-იდან 40 წლამდე დნმ-ს მეტილირება და მის საფუძველში მყოფი პროცესები, უფრო დადებით როლს ასრულებენ და, როგორც ჩანს, ორგანიზმს კიბოსგან იცავენ.** 55-60 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ კი ამ პროცესებს ცუდი შედეგი, მათ შორის მძიმე ასაკობრივი ავადმყოფობების გაჩენა მოჰყვება.

ახლა დიდი ბჭობაა იმის თაობაზე, რომ ამ ასაკში დაიწყონ დნმ-ს „ჟანგისგან“ გაწმენდის პროცედურები, თუმცა კი ასეთი ჩარევის მეთოდი ჯერჯერობით არც მთლად დამაჯერებელია. საქმე კი ისაა, რომ **დღემდე ბოლომდე არ არის გარკვეული, თუ რას „აჩვენებს“ კონკრეტულად მოლეკულური საათი: ესაა მხოლოდ დაბერების შედეგები თუ იმ პროცესების ანარეკლია, რომლებიც თავისთავად არიან ორგანიზმის დაუძლურების მიზეზები?** ამდენად, კვლევები კვლავაც გრძელდება.

ეპიგენეტური საათი საშუალებას იძლევა, დადგინდეს როგორც ერთიანად ორგანიზმის, ასევე ცალკეულ ორგანოთა ასაკი. მართალია, ისინი მეტ-ნაკლებად ერთნაირი სიჩქარით ბერდებიან, მაგრამ არის გამონაკლისებიც. მაგალითად, ქალებს მკერდი მთელ ორგანიზმზე უფრო სწრაფად უბერდებათ — სარძევე ჯირკვლის უჯრედების ბიოლოგიური ასაკი 2-3 წლით მეტია. ეს, როგოც ჩანს, ჰორმონებს უკავშირდება, თუმცა კი, სხვა მხრივ, დაბერების ეფექტი შესაძლოა დაცვითი ხასიათისა იყოს. ამის მიზეზი კი შეიძლება ის იყოს, რომ დაუძლურებული უჯრედები, რომლებსაც დაბერებას უკავშირებენ, კიბოს განვითარებას ეწინააღმდეგებიან, ანუ როცა უჯრედი ბერდება, გაყოფას წყვეტს და სიმსივნის განვითარებას სტარტს აღარ აძლევს. ამდენად, სავარაუდოა, რომ ქალის მკერდის დაბერება მას კიბოსგან იცავს.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ



გულბიანის „სანამ მამა დაბრუნდება“ საუკეთესო ფილმად დაასახელეს

ეგვიპტეში Aswan 6nternational Women Film Festival-ი გაიმართა, სადაც მარიამ გულბიანის დოკუმენტური ფილმი „სანამ მამა დაბრუნდება“ საუკეთესო ფილმის ნომინაციაში გამარჯვებული გახდა.

„სანამ მამა დაბრუნდება“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია, რომლის მსოფლიო პრემიერაც ბრიტანეთში, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდ, შეფილდის დოკუმენტური ფილმების კინოფესტივალზე შედგა. მოგვიანებით კი ფილმი სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალის დოკუმენტური ფილმების საკონკურსო სექციაში აჩვენეს. რამდენიმე დღის წინ ფილმის ჩვენებები გაიმართა პრაღასა და კოპენჰაგენში. „სანამ მამა დაბრუნდება“ ორი მოზარდი გოგონას მეგობრობის ისტორიას მოგვითხრობს. მოვლენები კი პანკისის ხეობაში ვითარდება.

დედამიწიდან შესაძლოა ღრუბლები გაქრნენ

რა კატასტროფა ელოდება პლანეტას?

უახლოესი 100 წლის განმავლობაში დედამიწა შესაძლოა იმ ღრუბლების გარეშე დარჩეს, რომლებიც პლანეტას გადახურებისგან იცავენ. თუ ეს მოხდება, კლიმატური კატასტროფა გარდაუვალია და მისი შედეგები იმაზე მეტად საშიში და მასშტაბური აღმოჩნდება, ვიდრე ყველაზე პესიმისტურ პროგნოზებშია. ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ წერს.

ასეთ დასკვნაა მოყვანილი კვლევაში, რომელიც ჟურნალ Nature Geoscience-ში გამოქვეყნდა. კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი გაფრთხილებას იძლევა: ატმოსფეროში ნახშირორჟანგის კონცენტრაციის ზრდა ღრუბელთა ფენას გაქრობით ემუქრება, რომელიც მსოფლიო ოკეანის მნიშვნელოვან ნაწილს მზის შუქისგან იფარავს.

როდესაც CO2-ის კონცენტრაცია განსაზღვრულ მაჩვენებელს გადააჭარბებს, რაც 1200 ppm-ია, დადგება გარდამტეხი წერტილი და ღრუბლები შეუქცევად დაშლას დაიწყებენ, რაც ოკეანის მკვეთრ გათბობას გამოიწვევს. მათემატიკური მოდელირება აჩვენებს, რომ დედამიწაზე საშუალო ტემპერატურა დაახლოებით 8 გრადუსით მოიმატებს, ეს კი გამოიწვევს არა მხოლოდ ბუნებრივ კატაკლიზმებს, არამედ ცხოველთა და მცენარეთა მასობრივ გადაშენებას. დაახლოებით 55 მილიონი წლის წინ დედამიწის ისტორიაში უკვე იყო ასეთი პერიოდი, მაშინ პლანეტა ისე გადახურდა, რომ არქტიკულ წყლებში ნიანგები ცურავდნენ, პრიმიტიული ძუძუმწოვრების უმრავლესობა კი უბრალოდ გადაშენდა.

ყველამ აღიარა

უელსის „კარდიფ სიტის“ 28 წლის კაპიტანი შონ მორისონი, საერთო აზრით, საკმაოდ კარგი ფეხბურთელია და ბრიტთა კუნძულზე მასზე ერთ დროს დიდ იმედებსაც ამყარებდნენ, თუმცა, აქამდე იქაური ბულვარული მედია ამ კაცით ნაკლებად დაინტერესებულა. ახლა კი ერთბაშად ვარსკვლავთა შორის გამოიჭიმა.

ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, რაც საზოგადოებამ სრულიად შემთხვევით და დაუგეგმავად ფეხბურთელის მშვენიერი ცოლი სტეისი ამბერ უარდი გაიცნო. შონ მორისონი შემთხვევით ცუდად გამხდარა, სტეისიმ სასწრაფო გამოიძახა, სასწრაფოს კუდში მიჰყვანენ ჟურნალისტები და აი, სწორედ იმ ჟურნალისტებმა შეამჩნიეს ქალბატონი სტეისის ქორფობა და ტანკენარობა. სამედიცინო ჯგუფის ამ იღბლიანი გამოძახების შემდეგ, “კარდიფ სიტის“ კაპიტანი თურმე სისხლის მოწამვლას გადაურჩა, მისი მეუღლე კი უცებ გახდა ფერადი ჟურნალების გვერდების დამამშვენებელი. ახლა თუკი სადმე შონ მორისონს ვახსენებთ, იქვე მისი ეშხიანი ცოლიც არ უნდა დავივიწყოთ.

ვენეციაში შესვლა ფასიანი ხდება

ვენეციაში შესვლა ტურისტებისთვის, რომლებიც ქალაქში ღამით არ რჩებიან, ფასიანი გახდება. როგორც სააგენტო „ესოშიეტიდ პრესი“ წერს, ვენეციის საქალაქო საბჭომ დაამტკიცა ახალი გადასახადი ტურისტებისთვის, რომლებიც ქალაქში მოკლე ვადით ჩადიან.

ახალი გადასახადისგან მოგროვებული თანხა ქალაქის ისტორიული ცენტრის კეთილმოწყობას მოხმარდება, კერძოდ ნაგვის მოგროვებასა და ტერიტორიის დალაგებას. ვენეციაში შესვლის გადასახადი 2019 წლის ბოლომდე 3 ევრო იქნება, მომავალ წელს კი, ეს თანხა გაორმაგდება. იმ დღეებში, როდესაც ქალაქში ტურისტების დიდი ნაკადი იქნება მოსალოდნელი, გადასახადმა შეესაძლოა, 10 ევრო შეადგინოს. გადასახადისგან გათავისუფლდებიან ის პირები, ვინც დაიბადა, ცხოვრობს ან სწავლობს ვენეციაში, 6 წლამდე ასაკის ბავშვები და ის ადამიანები, ვინც ქალაქში ნათესავებთან ჩადიან. გადასახადებისგან გათავისუფლდებიან ასევე ის ტურისტები, რომლებსაც გადახდილი აქვთ ვენეციაში სასტუმროსა ან ჰოსტელის ღირებულება. გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, ტურისტს 450 ევრომდე ჯარიმა ელის. ჯერჯერობით უცნობია ზუსტი თარიღი, როდის ამოქმედდება ახალი სისტემა, თუმცა თავდაპირველი გეგმის მიხედვით, გადასახადის დაწესება 1-ელი მაისიდან იგეგმება.

კლოდ მონეს ნამუშევარი 27,5 მლნ ფუნტად გაიყიდა

კლოდ მონეს ნახატი „დოჟების სასახლე“ Sotheby's-ის აუქციონზე 27,5 მლნ ფუნტად გაიყიდა. ამის შესახებ აუქციონის სახლის საიტზე განთავსებულ განცხადებშია ნათქვამი.

ნახატი ანონიმმა მყიდველმა შეიძინა. ევროპაში Sotheby's-ის დირექტორთა საბჭოს წარმომადგენელმა ჰელენა ნიუმანმა ტილოს ნამდვილი შედევრი და დიდებული ნახატი უწოდა. კლოდ მონემ „დოჟების სასახლე“ ვენეციაში ყოფნის დროს, 1908 წელს, სამი სხვადასხვა ვარიანტით შექმნა. ორი სხვა ფერწერული ტილო ნიუიორკის ბრუკლინისა და ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმებში ინახება. მონე იმპრესიონიზმის ერთ-ერთ დამფუძნებლად არის აღიარებული.

წარმატებულ ბიზნესმენებო, გონიერო ქველმოქმედნო, მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6940; ევრო - 3.0701;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5817
100 რუბლი - 4.0939; თურქული ლირა - 0.5084;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5894;
1000 სომხური დრამი - 5.5002.

ამინდი 1 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+5
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+7
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+4
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge